საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რომლიც ბევრი სიფაქვაა, ფაქიზებით და ჯიბეებით ბუტის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი, 6 მარტი. 2023 წ. №26 (9558) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

აკია ბარბაქაძე ჯავშნოსანზე და საკომიტეტო მოსმენა „თქვე ჩათლახებს“ ფონზე

იხ. 3 გვ.

ირაკლი მენაღარიშვილი:

ყოველი ღამე თენდება!

პოლიტიკოსების ჯგუფი ვერ შეცვლის ქართველი ხალხის არჩევანს!

5

ლობისტების ანკესზე წამოგებული ევროპა

4

იგორ კვესელავა:

ფულის გაყოფის დიდოსტატი აგენტები!

ვთქვათ, საუბარია 100-მილიონიან დაფინანსებაზე, ეს თანხა იყოფა შუაში, თანხის ნახევარი მიდის ისევ გამომგზავნთან, ეს არის ცნობილი გარიგება, ე. წ. ატკატი

4



წინ, საქართველო!

საქართველოს მორაგბეთა ეროვნულმა ნაკრებმა გუშინ ავჭალის სტადიონზე რაგბი ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში რუმინეთი 31:7 დაჯაბნა და 19 მარტს თბილისის დროით 23 საათზე ესპანეთის ქალაქ ბადახოსში სატიტულო ბრძოლას პორტუგალიასთან გამართავს, რომელმაც სწორედ მეზობლებს სძლია – 27:10. ბორჯღალოსნებმა ისტორიაში მე-16 შემართებას ანთიმოზ ივერიელის ტრადიციული თასი, რომელიც 22-ედ გათამაშდა. ლელოები: შარიქაძე, თოდუა, ტაბუცაძე და გუნდური ლელო.

* * *

გუშინვე ვარლამ ლიპარტელიანმა (100 კგ) ოქროს მედალი მოიხვეჭა ტაშკენტის გრანდ სლემზე, სადაც ბრაზილიელი, ყაზახი, იაპონელი და ავსტრიელი ძიუდოისტები დაამარცხეს.

ქართველთა თანამედროვე მეტყველება მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს!

მზექალა შანიძე:

7

იყიდება საქართველო!



11

ბათუმში უძრავ ქონებას უცხოელები გამალებით ყიდულობენ!

გვისმინე, ევროპავ!

ირაკლი ღარიბაშვილი: ღრმად მწამს, რომ ისტორიული პროცესი, რომელმაც ერთი წლის წინ შეუქცევადი ხასიათი მიიღო, მალე დაგვირგვინდება საქართველოს ევროკავშირის სრულფასოვანი წევრობით

„ერთი წელი შესრულდა საქართველოს მიერ ევროკავშირის წევრობაზე ოფიციალური განაცხადის გაკეთების ისტორიული დღიდან.

2022 წლის 3 მარტს მე წილად მხვდა გამორჩეული პატივი, ხელი მომეწერა დოკუმენტზე, რომელიც ქართველთა მრავალი თაობის ოცნებას, ჩვენი ხალხის მრავალსაუკუნოვან მისწრაფებას განასახიერებს.

ამ დღეს ჩვენი ისტორიის ახალი ფურცელი გადაიშალა; სულ მალე ევროკავშირის საბჭოს მიერ საქართველოს ევროპული პერსპექტივის აღიარებამ კიდევ უფრო მეტად მიგვაახლოვა თავისუფალ ერთა ევროპული ოჯახის წევრობას.

განვლილ ერთ წელში ჩვენ კიდევ უფრო გავააქტიურეთ ძალისხმევა იმ მიზნის მისაღწევად, რომელიც მთელ ჩვენს ისტორიას და, ბუნებრივია, ჩვენი ხელისუფლების საქმიანობას განსაზღვრავს; გადავდგით ყველა ნაბიჯი ევროპული ცხოვრების წესთან და სტანდარტებთან, ინსტიტუციონალურ მოწყობასთან და კანონმდებლობასთან დასაახლოებლად, ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად.

ამ პროცესში მუდამ ვგრძნობთ ჩვენი ხალხის მხარდაჭერას, რაც ყველაზე ძლიერი სტიმულია მთავრობის, მთლიანად ჩვენი პოლიტიკური გუნდის ყოველდღიური საქმიანობისთვის.

მადლიერი ვართ ჩვენი ევროპელი მეგობრების, პარტნიორი ქვეყნების მთავრობებისა და ხალხის, ვინც ჩვენს გვერდით დგას ამ მიზნის რეალობად ქცევის გზაზე.

ევროკავშირის გაფართოება დამსახურებაზე დაფუძნებული პროცესია, და სწორედ ეს გვაძლევს ყველაზე მეტ იმედს. მთელი თავისი ისტორიით, კულტურით, ღირებულებებით ევროპული ქვეყანა, დასავლური ცივილიზაციის ორგანული ნაწილი და მისი დიდი კულტურის თანაშემოქმედი, საქართველო საკუთარი დღევანდელობით, მასშტაბური რეფორმებით, განვითარების ტემპებითა და ხარისხითაც უდავოდ იმსახურებს სამართლიან აღიარებას. ღრმად მწამს, რომ ისტორიული პროცესი, რომელმაც ერთი წლის წინ შეუქცევადი ხასიათი მიიღო, მალე დაგვირგვინდება საქართველოს ევროკავშირის სრულფასოვანი წევრობით“!

დავით ზარდიაშვილი: აშშ-ის გავლენის აგენტები, ყველანაირი არგუმენტის მიუხედავად, ბოლომდე დაიცავენ დასავლეთის პოზიციას...

„საკითხი ელემენტარულია და ამერიკელების დამოკიდებულებაც სრულიად ნათელი: თუ საუბარია აშშ-ში უცხოეთის გავლენაზე, მაშინ ეს კანონი, რაც 1938 წლიდანვე იქ მოქმედებს, რაღა თქმა უნდა — ამერიკულია. ხოლო თუ პირიქით, საუბარია რომელიმე „კლიენტ“ სახელმწიფოში, მაგალითად — საქართველოში, თავად აშშ-ს გავლენაზე, ბუნებრივია, მსგავსი კანონის მიღება, რაც ამ გავლენის გამჭვირვალობას ავალდებულებს, სწორედაც ანტიამერიკული, მაშასადამე — რუსული ნაბიჯი იქნებოდა.

ამერიკა ამას არც მალავს: ჩემზე სხვის გავლენას არ დავუშვებ, სამაგიეროდ, ჩემს გავლენას სხვებზე ბოლომდე „მივაწვებიო“. ბუნებრივია, აშშ-ს გავლენის აგენტები, ანუ მთელი ეს ამერიკულ-დასავლური აქაური კლიენტელა, იგივე პოზიციაზე იქნებიან და მეტიც: პატრონის ინტერესებს, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ ცხოვრების სახსარი არ დაკარგონ, ბოლომდე და მთელი გააფთრებით დაიცავენ. რასაკვირველია, ეს კანონი, თუკი იგი მიღებული იქნება, ამ გავლენას გამჭვირვალობის ჩარჩოში აქცევს, რაც შეზღუდვად და ზოგისთვის კი — აკრძალვადაც აღიქმება. ამ ზოგისთვის, მაგალითად აშშ-ს კლიენტი ექსტრემისტული ორგანიზაციებისათვის („სირცხვილია“, „დროა“ და ა.შ.) ეს მართლაც აკრძალვის ტოლფასია, რადგან შეუძლებელია მათ ღიად და გამჭვირვალედ ისე გააგრძელონ ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა, რომ პატრონი აშკარად არ გასცენ. საბოლოო ჯამში, ეს კანონპროექტი არის ტესტი, როგორც საქართველოსათვის, ისე აშშ-სათვისაც.

თუ კანონს მივიღებთ, ამერიკული პატრონ-კლიენტელიზმი უნდა შეიზღუდოს, თუ კანონს ვერ მივიღებთ — პირიქით, საქართველო, როგორც აშშ-ს კლიენტი სახელმწიფო, ვალდებული გახდება “ერთი ადგილის თამაშს“ სამომავლოდაც თავი დაანებოს და ასევე, ამერიკული კლიენტელა დააბრუნოს ხელისუფლებაში (მნიშვნელობა არა აქვს, რა სახელწოდებით — „ხაზე-ნაცი“, „გახარ- ქოცი“ და კოალიციური თუ ერთპარტიული კონფიგურაციით —)... და კიდევ ერთიც: როცა აშშ-ს სახდეპის პრესსპიკერი აცხადებს — „ეს რუსული კანონიაო“, ამით ბეჭედს უსვამს: ამერიკაც — თურმე „რუსეთია“ და თეთრი სახლი იგივე „კრემლია“. აი ეს, კანონპროექტის მხოლოდ ინიცირებითაც კი, გამჭვირვალე გახდა. კანონად თუ იქცევა კანონპროექტი, მერე — ეს გაკრემლებული თეთრი სახლი რას ჩაიდენს, ეგაა საკითხავი. რომელი უფრო საშიშია — აქ და ახლა, დიახ, საკითხავი აი ესაა და ჩვენი პოლიტიკაც ამითაა დეტერმინებული: პრიორიტეტული საფრთხეებისგან თავდაცვით. არადა, სხვა იარაღი, გარდა სიმართლისა, ჩვენ არ გვაქვს. ქართველთა მრწამსი კი ესაა: დაიცავი სჯული (სიმართლე, სამართალი, სამართლიანობა, სამართლის იდეა) და სჯული დაგიცავს შენ!“, — წერს ზარდიაშვილი.

პრემიერი დელეგაციასთან ერთად გერმანიაში გაემგზავრა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დელეგაციასთან ერთად გერმანიაში გაემგზავრა. ირაკლი ღარიბაშვილი მსოფლიოში უდიდეს ტურისტულ გამოფენას ITB Berlin 2023-ს ოფიციალურად გახსნის.

გამოფენის დაწყებამდე ერთი დღით ადრე, პრემიერ-მინისტრი, როგორც ITB Berlin 2023-ის მასპინძელი ქვეყნის მეთაური, საზეიმო გახსნის ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართავს.

გერმანიის დედაქალაქში საქართველო ყველაზე მასშტაბური საერთაშორისო ტურისტული გამოფენის მასპინძელია. **„უსაზღვრო სტუმარმასპინძლობის ქვეყანა“** — ასეთია სლოგანი, რომლითაც საქართველო 180 ქვეყნის ეპიცენტრში მოექცევა და გამოფენის მთავარი ქვეყანა გახდება.

სამუშაო ვიზიტით – ამერიკაში

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი სამუშაო ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებში და ნიუ იორკში, გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს ქალთა სტატუსის შესახებ კომისიის 67-ე სესიას დაესწრება.

დღეს საქართველოს პრეზიდენტი სიტყვით მიმართავს გაეროს წევრი ქვეყნების წარმომადგენლებს, რომლებიც გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს ქალთა სტატუსის შესახებ სესიის ფარგლებში ქალთა და გოგონათა გაძლიერების შესახებ, ინოვაციებზე, ტექნოლოგიურ ცვლილებებსა და ციფრულ ეპოქაში განათლების საკითხებზე იმსჯელებენ.

ნიუ იორკში სამუშაო ვიზიტისას დაგეგმილია საქართველოს პრეზიდენტის შეხვედრები გაეროს გენერალურ მდივანთან ანტონიო გუტერეშთან, გაეროს გენერალური მდივნის მოადგილესთან, ამინა მოჰამედთან, გაეროს ქალთა ორგანიზაციის აღმასრულებელ დირექტორთან, სიმა სამი ბაჰუსთან, გაეროს განვითარების პროგრამის ადმინისტრატორთან, აჰიმ შტაინერთან.

ამასთან, საქართველოს პრეზიდენტი ორმხრივ შეხვედრებს გამართავს ფორუმში მონაწილე ქვეყნების პრეზიდენტებთან და ნიუ იორკის მერთან, ერიკ ადამსთან.

დაგეგმილია საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტი იელისა და ჰარვარდის უნივერსიტეტებში, სადაც ჯონ კენედის სახელობის სამთავრობო სკოლაში საქართველოს პრეზიდენტი საჯარო ლექციას წაიკითხავს.

სალომე ზურაბიშვილი ნიუ იორკში ჰარვარდის კლუბსაც ეწვევა, სადაც კლუბის წევრებთან რეგიონში შექმნილ მდგომარეობასა და გეოპოლიტიკურ ვითარებაზე იმსჯელებენ.

აშშ-ში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში საქართველოს პრეზიდენტი ქართული დიასპორის წარმომადგენლებს შეხვდება.



დავით ქართველიშვილი: დრო მოვიდა, ლომჯარიამ და მისმა მოადგილემ საზოგადოებას აუხსნან, თუ რა მოიმოქმედეს პრემიერ გახარიას შესაჩერებლად 20 ივნისის დარბევის დღეს

„მე ნამდვილად არ ვიცოდი, რომ იმ დროს, როდესაც მოქმედი პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე პირდაპირ ეთერში არწმუნებდა საზოგადოებას, რომ მომიტინგეთა წინააღმდეგ არ იქნებოდა გამოყენებული აქციების დაშლის ნაცებისთვის დამახასიათებელი მეთოდები — ერთ საპარლამენტო ოთახში, ტელევიზორით მის გამოსვლას უყურებდნენ გახარია, ლომჯარია და მისი მოადგილე — „ცალ ფეხზე დგომით მონობის“ პოპულარიზატორი ბურჯანაძე. დღეის გადასახედიდან — თვითონ ეს პირდაპირი ჩართვაც და პრემიერისთვის ეს დასმული შეკითხვაც აღარ მეჩვენება „შემთხვევით“ მოვლენად, არამედ წინასწარ დაგეგმილ, მიზანმიმართულ ნაბიჯად. გასცა თუ არა ბახტაძემ მტკიცე დაპირება — რომ წინა რეჟიმისთვის დამახასიათებელ ქმედებებს ადგილი არ ექნებოდა, როგორც ჩანს, ლომჯარიამ უბრძანა გახარიას, აგენტოკრატების მიერ დაგეგმილი ოპერაცია მოქმედებაში მიეყვანა.

ჯერ კიდევ 2019 წლის ივნისის მიწურულს, ჩემი ყოფილი ძალოვანი სტრუქტურების კოლეგები გაოცებულები მიზიარებდნენ თავიანთ გაკვირვებას — რატომ იქნა გამოყვანილი მომიტინგეთა წინააღმდეგ მაინცდამაინც ის კონტინგენტი, რომელიც მონაწილეობდა 2011 წლის 26 მაისის აქციის სისხლიან დარბევაში, რატომ ხდებოდა მომიტინგეთა მისამართით მიზანიმართული, მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის დამაზიანებელი მიზანმიმართული სროლა. ამ, როგორც ჩანს, კარგად დაგეგმილ ოპერაციას „ემსხვერპლა“ მამუკა ბახტაძის პრემიერ-მინისტრის სავარძელი, რომელსაც თავისი საჯაროდ გახმოვანებული დაპირების უხეში დარღვევის გამო, როგორც წესიერ და პატიოსან ადამიანს, გახარიამ და ლომჯარიამ სხვა არჩევანი აღარ დაუტოვეს — ის მალევე გადადგა და ამით „მაზაკვალს“ სანუკვარ პოზიციამდე მწვანე შუქი აენთო. ეს იყო ოპერაცია „подстава“-ს მხოლოდ საწყისი ეტაპი, რომელმაც შემდგომი განვითარება ჰპოვა მოგვიანებით ყველასთვის ცნობილი მოვლენებში. ეს ოპერაცია არ დასრულებულა და დღესაც მიმდინარეობს“, — აღნიშნავს დავით ქართველიშვილი.

გიორგი ვოლსკი: კანონში არავითარი ხელშემშლელი, შემზღუდავი ბარიერები და ნორმები გათვალისწინებული არ არის

„არსებობს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია ევროპის საბჭოსი, რომელიც რეკომენდაციას აძლევს ქვეყანას, არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომ თავისი შემოსავალი წყარო გამოაქვეყნოს და ის მიმართულებები, რომელშიც ის ამას ხარჯავს. მინდა ხაზი გავუსვა, რომ ამ ქვეყნის სახეს, მხოლოდ პარტიები არ წარმოადგენენ — მთავარი საზოგადოებაა.

ნებისმიერი ორგანიზაცია, არასამეწარმეო იურიდიული პირი ვალდებულია, საზოგადოებას უთხრას ვისგან აქვს მიღებული ეს თანხა და რა პროგრამები არის ამ თანხებით დაფინანსებული. მეტი ამ კანონპროექტში არაფერი წერია. მაგრამ არის მეორე კანონპროექტი, ამერიკული ანალოგი, რომელზეც დავა მიდის, რომ შესაძლოა ეს გამოვიყენოთ ისე, როგორც გამოიყენეს რუსეთში“, — აღნიშნა გიორგი ვოლსკიმ.



აკია ჯავშნოსანზე და საკომიტეტო მოსმენა „თქვე ჩათლახებოს“ ფონზე

გევრს უთუოდ ეხსომეგა XX საუკუნის კანონიზეგული ნახატი „ლენინი ჯავშნოსან მანქანაზე“... დგას გელადი მაღლა აწეული ხელით და მგზნეგარე სიტყვას ამგოგს, აღრიალეგული გრგოკი აღტაცეგით შეჰყურეგს მას...

24 თებერვალს, უკრაინის ომის წლისთავთან დაკავშირებით, ტრადიციულად, პარლამენტის წინ გამართულ მიტინგზე, ფიცარნაგზე იდგა დაახლოებით ლენინის სიმაღლის, ჯეჯგვი კაცი, წინ ჭაღარაჯაგრიანი ნიკაპი გაეშვირა და ხელისუფლებას დედ-მამის სულს უტრიალებდა. ვერ ვიტყვი, რომ მიტინგი, რომლის მონაწილეთა ნახევარიც უკრაინიდან ლტოლვილები იყვნენ, ხელისგულებს იტყავებდა ტაშის კვრით და ოვაციით ამოძრავებული ნიავ-ქარი დაცვარულ შუბლს უგრილებდა სამხედრო ექსპერტს აკია ბარბაქაძეს. აი, თვითონ კი აშკარად ასე ხედავდა თავის თავს უჩინარ სარკეში.

მან, ვითარცა წმინდა გიორგიმ ურჩხული, ძლევამოსილად განგმირა საქართველოს ცის კამადონზე ის-ის იყო წამოყალყული ახალი კანონპროექტი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“, რომელიც „ხალხის ძალამ“ დაანიცირა და პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგინა. ამ ერთი შეხედვით ყოვლად უწყინარი სახელწოდების პროექტმა, რომელიც მიზნად ისახავს სარეველასავით მოდებული უცხოური დაფინანსების მქონე ენჯეოების, მედია საშუალებებისა და სხვათა აღრიცხვას და ამ დაფინანსების მიზნების გარკვევას, მიზონების ისეთი ჯახი გამოიწვია, რომ არე-მარე გააყრუა. ავტორები ამტკიცებენ, ეს ამერიკული კანონის ზუსტი თარგმანიაო, მოწინააღმდეგენი კი იჭაჭვებიან, არაო, „ოცნების“ რუსული კანონიაო. ეს გამძაფრებული რეაქცია იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ახლოვდება 2024 წლის არჩევნები და გარკვეულ ძალებს შინ და გარეთ გადაწყვეტილი აქვთ, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, შეცვალონ ხელისუფლება, საამისო ფინანსები კი სწორედ ენჯეოების გავლით უნდა გადმოიქაჩოს, რათა პარტიებამდე მიაღწიოს, სადაც ეს თანხა რევოლუციის ხიშტებად იქცევა? ამ მზაკვრობას კი მხოლოდ ახალი კანონი გადაუჭრის გზას.

რამდენი კაციც არის, იმდენი აზრია, რამდენი პარტიაც არის, იმდენი მიმართულებაა... ჰოდა, აირია მონასტერი. საუზმიდან სადილობამდე მასობრივი შიმშილობის გამოცხადება მოახლოვდა, გამორიცხული არ არის, რომელიმე განსაკუთრებულად თავგაცხელებულმა პარტიამ თავის რიგებში ნებაყოფლობითი თვითმკვლელიც შეარჩიოს, რომელსაც სისხლის გამოდინებამდე გადაათქმევინებენ განზრახვას და ეროვნულ გმირად შერაცხავენ.

აკიამ შემწვრის სუნი იყნოსა, მიხვდა თავისი ძეგლის კვარცხლბეკი სწორედ ახლა შეიძლება აღმართულიყო და უმალ გამოიყენა შესაძლებლობა, საჭირო დროს საჭირო ადგილზე დახვდა ბედისწერის ლურჯ ფრინველს და უკრაინის ომთან დაკავშირებულ მიტინგს, რომელზეც ორგანიზატორთა დათქმის თანახმად, პოლიტიკა არ უნდა გაჭაჭანებულიყო, შინაარსი შეუცვალა – „აგენტების შესახებ კანონის“ საქართველოსთვის საბედისწერო დამღუპველობაზე, მისი ინიციატორების რუსულ სამსახურში დგომაზე და ხელისუფლების დამხობის აუცილებლობაზე ილაპარაკა ცხოველმყოფლად. აღელდა და მიტინგიც ააღელვა. ორშაბათიდან უწყვეტ აქციას ვიწყებო, ვაარსებ ახალ, ჯერ არნახულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას „მოძრაობა თავისუფლებისთვის – წინააღმდეგობა ერთიანი ფრონტით“.

მე არ ვიცი, მასების რა რაოდენობა მიაწყდა აკიას ორშაბათიდან, მაგრამ იმის თქმა კი შემიძლია, რომ ჩვენი პარტიული ლიდერები მაინცდამაინც კმაყოფილებით არ შეხვდნენ არამკითხე აკიას „სეპარატისტულ“ გამოხდომას. ეს ხმამაღლა წაიბუზღუნეს კიდეც, მაგალითად, გიორგი ვაშაძემ. ან როგორ არ წაიბუზღუნებდა, როცა მას, კაცს, რომელიც ძილსა თუ ღვიძილში თავის თავს საქართველოს პრემიერ-მინისტრად ხედავს, ტრაკჩენია ზურაბ გირჩი ჯაფარიძეს და „ღმერთო, მისგან დაგვიფარე“ ლიაკა ხოშტარიას უკვე აქვთ შექმნილი ასეთი განმათავისუფლებელი ორგანიზაცია და, რა ხანია, გვათავისუფლებენ!..

აკია!..

არადა, ამ კაცს მართლა აქვს ბრძოლის გამოცდილება, ოღონდ... ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ. ამის თაობაზე, მაგალითად, არმიაში სამოქალაქო კონტროლის ჯგუფის ხელმძღვანელი, ამჟამად საფრანგეთში მცხოვრები დავით ნემსაძე წერს: **აკია ბარბაქაძე იყო სისხლიანი თენგიზ კიტოვანის მარჯვენა ხელი, რომელიც პირდაპირ ქუჩაში ხვრეტდა გამსახურდიას მომხრეებს, იარაღით ხელში მონაწილეობდა ეროვნული ხელისუფლების დამხობაში.**

„ქართული მარშის“ ლიდერი სანდრო ბრეგვაძე იხსენებს: აკია ბარბაქაძე თენგიზ კიტოვანის ხელის მიჭი და მეპაეევის (ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის მოადგილე, გენერალ-ლეიტენანტი სუფიან მეპაეევი-ა.ა.) პირადი აგენტი ეროვნული მოძრაობის ლიდერი ხდება. 1991 წლის 22 დეკემბერს მან „გრუ“-ს პირდაპირი ბრძანებით დევი ჭანკოტაძესთან ერთად პირველმა გაუხსნა ცეცხლი საქართველოს კანონიერ ხელისუფლებას.

გიორგი გამსახურდია: დავიბადე და ამ ხალხს ვუყურებდი, ვბერდები და ისევ ამ ხალხს ვხედავ პოლიტიკაში. ნაცმოძრაობა გავსებულია აკიასნაირი პოლიტიკოსებით. ეს კაცი აქტიურად მონაწილეობდა პუტჩში. სიგუა და კიტოვანი აკიას გარეშე არ გადაადგილდებოდნენ.

პუტჩის გამარჯვების შემდეგ აკიას მწვანე სამხედრო გზა გაეხსნა, რომელიც სულ ასკინკილით აირბინა. სხვათა შორის, იგივე დავით ნემსაძე იხსენებს, რომ კიტოვანმა ისე გახადა პოლკოვნიკი, ოფიცრობის არცერთი საფეხური არ გაუვლიაო. იყო ეროვნული გვარდიის სარდალი, შემდგომში პირველი საარმიო კორპუსის მეთაური... არმიაში მისი ქარიშხლისებური კარიერული სვლა 2005 წელს თავდაცვის მინისტრდ დანიშნულმა ირაკლი ოქრუაშვილმა შეაჩერა, არმიიდან უბოდიშოდ მიაბრძანა. თუმცა, კარგა ხნის შემდეგ პრეზიდენტმა მარგველაშვილმა ნაფტალინიდან ამოიღო და თავის მრჩევლად დანიშნა.

აკიას პუტჩისტური ღვაწლი მემუარულ ლიტერატურაშიც აისახა. გენერალ-მაიორ თამაზ დუმბაძის წიგნში „თქვენს გასაგონად, ბიჭებო“ ნათქვამია, რომ პუტჩის მოსამზადებლად ძალიან ბევრი უშრომიათ ჯუმბერ ჭუმბურიძეს, ავტორს, გია ყარყარაშვილს, მამუკა ჯაჯანიძეს, აკია ბარბაქაძეს, დევი ჭანკოტაძეს, პაატა დათუაშვილს, გელა გიორგაძეს და გია გულუას.

აი, ასეთი არწივი შეფრინდა მიტინგის ფიცარნაგზე იმ დღეს. ეს კაცი გვპირდება წესრიგის დამყარებას, ახალი რევოლუციის აგორებას, ბედნიერ ხვალინდელ დღეს!

თუმცა, რა აკია, მთელი ნაცმოძრაობა, რესპუბლიკელები, სტრატეგები, ლელოელები ერთ სებითი ეთქვა კანონპროექტის ავ-კარგზე, განსაკუთრებით იმაზე, თუ რატომ იყო ეს ამერიკულიდან ნათარგმნი კანონი რუსული! დიმიტრი ხუნდაძე ლამის ტირილით იხვეწებოდა, ერთი წინადადება მაინც მიმითითეთ, რომელია ამ წმინდა ამერიკულ ტექსტში რუსულიო. მაგრამ გაგიგონიათ? თითქმის ყველა ოპოზიციონერი გამომსვლელი ლანძღვა-გინებით შემოიფარგლა, მოღალატეებო, რუსეთის მონებოო, თავის კოლეგებზე ცოდნა-გონიერებით ერთი ხაზით მაღლა მდგომის იმიჯის მქონე რომან გოცირიძეც კი.

გაქანებული ორთქლმავლის გაუთავებელი დაგა-დუგი ეროვნული მოძრაობის ცნობილი ვეტერანის ნანა კაკაბაძის პრინციპულმა, არსებითმა, მაგალითებით გაჯერებულმა საუბარმა შეანელა. მისი მძაფრი გამოსვლის შემდეგ სხდომა უფრო ჯანსაღ ვითარებაში გაგრძელდა..

იმ დღეს დამსწრენიც და ტელემაყურებლებიც განსაკუთრებით ქალებმა გადარიეს. თუმცა, სად იყვნენ ქალები! ტელეეკრანზე ჩანდნენ გაავებული ორღობის დედაკაცები, რომლებიც მეზობლებს ჭიგოებით დაერევიან ხოლმე. განსაკუთრებით რესპუბლიკელებმა ხათუნა სამნიძემ და თამარ კორძაიამ დაგვამახსოვრეს თავი. ყოველთვის ზომიერი, თავშეკავებული სამნიძისა და თვალში საცემი ქალურობით გამორჩეული კორძაიას გაცოფებამ და უკადრისმა წივილ-წიკვინმა შოკი გამოიწვია. სამნიძის ლექსიკამ თავზარი დაგვცა: „ფეხებზე მკიდია“, „ვირიშვილო“, „ეგ კაცი გარეთ გაათრიეთ“, „დავაი, ახლა, გა..“ (ალბათ, გააჯ.იო). აი, ანა ნაცვლიშვილის, სალომე სამადაშვილის და ანა წითლიძის არაქალური, პლებეური უკიდურესობანი კი არავის გაჰკვირვებია. ეს დედაკაცები (იმ დღეს საკომიტეტო მოსმენაზე სწორედ ორღობის დედაკაცებად წარმოაჩინეს თავი და არა ქალბატონ დეპუტატებად) მხოლოდ ზიზღსა და აღშფოთებას იწვევდნენ.

ერთიც. იმდღევანდელ მოსმენა-რბევას კოხტად შეეზილა „მართალი ბიჭის“ ალექსანდრე ელისაშვილის თითქოს განგებ ნერვების აშლა: **რატომ მაინც და მაინც ახლა იხილავთ, რა, დანარჩენი ყველაფერი აწყობილი გვაქვს?**

და რატომ არა დღეს? დღევანდელი დღე რა უქმეა, რაიმე დღესასწაულია თუ ტაბუ აქვს დადებული? რაღაც ყოვლად გაუგებარი, ყოვლად აუხსნელი საპროტესტო ხმაური რომ ატეხეს უცხოელმა ელჩებმა და მათ შორის განსაკუთრებულად აშშ-ს ელჩმა. მათ რომ გვიბრძანონ, მთელი კვირა ცალ ფეხზე უნდა ვიდგეთ, როგორც „ხატოვნად“, უფრო სწორად, ყოვლად ბრიყვულად, მართლაც მონურად აგვიხსნა სახალხო დამცველის მოადგილემ (?!) გიორგი ბურჯანაძემ? შენეული ასეთი პოზიციითა და განწყობით ვერასდროს ვერაფერს განვიხილავთ, ალეკო ბატონო!

2 მარტის საკომიტეტო მოსმენა ერთი ერთზე ტყუპისცალივით ჰგავდა დაუვიწყარ გავრილოვის ღამეს – ჩანაფიქრით, რეჟისურით, შემსრულებელთა დასით და გაჭენებული წარუმატებლობით. ეს „ავარდნა“ უშუალოდ მოჰყვა უკანასკნელი პერიოდის ყველაზე დიდ ამაო ცდას – მიშა სააკაშვილის უცხოეთში გაგზავნას, ფართოდ დაგეგმილს და ასევე ფართოდ ანგაჟირებულს. მაგრამ ამ მეორე დიდმა მიზანდასახულებამაც ჭირი მოგვჭამა – ხალხი ქუჩაში ვერ გამოიყვანა, ხელისუფლება ვერ დაამხო და ამაო ბღავილ-ყიყინად დარჩა. საკომიტეტო მოსმენამაც მხოლოდ თავი მოგვჭრა, მეტი ვერაფერი შეძლო. ახლა რაღაც ახალს უნდა ველოდოთ.

მოკლედ ასეთი იყო ჩვენი ბედკრული პარლამენტის შავი ხუთშაბათი. მან კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საქართველოს ძალუძს მსოფლიოს შეახარბოს ახალი ნოუ ჰაუ – გამრუდებული პარლამენტარიზმი!

ალეკო ასლანიშვილი

ფულის გაყოფის დიდოსტატი აგენტები!



იგორ კვესელავა: ვთქვათ, საუბარია 100-მილიონიან დაფინანსებაზე, ეს თანხა იყოფა შუაში, თანხის ნახევარი მიდის ისევ გამომგზავნთან, ეს არის ცნობილი გარიგება, ე. წ. ატკატი

უნდა დაედოს თუ არა ტაბუ „უცხოური გავლენის აგენტების შესახებ" კანონპროექტს? არასამთავრობოები სწორედ ამას ითხოვენ, რომ მათი საქმიანობა გამჭვირვალე არ იყოს, თუმცა მმართველი გუნდი სხვაგვარად ფიქრობს.

„უკაცრავად, მაგრამ წმინდანების საქმიანობას განიხილავენ და სხვადასხვა რაკურსით აფასებენ", — ასეთნაირად ეხმიანება იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე **ანრი ოხანაშვილი** აგენტების რეგისტრაციის თაობაზე პარლამენტში ინიცირებულ კანონპროექტს.

პარლამენტის პირველ ვიცე-სპიკერ **გიორგი ვოლსკის** უკვირს, როგორ შეიძლება, მაგალითად, „საერთაშორისო გამჭვირვალობა" იყოს გამჭვირვალობის წინააღმდეგი.

ამ კანონპროექტის ინიციატორ **დიმიტრი ხუნდაძისთვისაც** გაუგებარია, უცხოური გავლენის გამჭვირვალობა რატომ არის აუცილებელი დასავლეთში, საქართველოში კი მიუღებელი, ეს ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოება არ უნდა დავიცვათ?!

ევროკავშირის ელჩი საქართველოში **პაველ ჰერჩინსკი** „გავლენის აგენტების" კანონპროექტზე სასაუბროდ პარლამენტის სპიკერს შეხვდა და არ დამალა, რომ **შალვა პაპუაშვილთან** საუბარი არ იყო მარტივი, რადგან მათ მოუწიათ იმის ახსნა, რომ „გავლენის აგენტის" შესახებ ინიციატივა ეწინააღმდეგებოდა ევროკავშირის ნორმებსა და ფასეულობებს, სულ მცირე, 12 პუნქტიდან 2 პუნქტს ეწინააღმდეგებოდა, რომლებიც საქართველოს გასული წლის ივნისში გადაეცა.

საქართველოში აშშ-ის ელჩი **კელი დეგნანი** აცხადებს, რომ ვერსიას მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, სჭირდება თუ არა ქვეყანას ეს კანონი, რადგან ეს ევროატლანტიკურ მომავალს საფრთხეს უქმნის. დეგნანის თქმით, ეს ინიციატივა შეაფერხებს ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობას, ვინც ქართველების დახმარებას ცდილობს. „ეს საქართველოს არ სჭირდება", — ასკვნის კელი დეგნანი.

ის ფაქტი, რომ უცხოური გავლენის გამჭვირვალობა დასავლეთში აუცილებელია და საქართველოში ჯერ კიდევ მიუღებელი, ორმაგ სტანდარტად არ მიაჩნია ანალიტიკოს **რამაზ საყვარელიძეს.** for.ge-სთან საუბრისას ის აცხადებს, რომ ყველაფერს თავისი დრო აქვს და დიმიტრი ხუნდაძემ, როგორც ექიმმა, უკეთესად უნდა იცოდეს, რომ თუკი ადამიანი ბევრ წამალს უდროო დროს მიიღებს, ის საწამლავად იქცევა.

„დღეს საკითხი დგას ასე, ლობისტების წყალობით მსოფლიო პოლიტიკის გარკვეული ჯგუფები ისედაც ეჭვის თვალით გვიყურებენ და აინტერესებთ, ხომ არ ვართ რუსეთთან კავშირში? ან ხომ არ გადავუხვიეთ ევროპულ გზას? ასეთი ეჭვების ფონზე ამ კანონის მიღება უადგილოა, როგორც უზმოზე ისეთი წამლის მიღება, რომელიც ორგანიზმისთვის სახიფათოა", — მიიჩნევს რამაზ საყვარელიძე და, ზოგადად, ამ კანონპროექტის მიღების დიდ საჭიროებას ვერ ხედავს.

ანალიტიკოსის თქმით, 30 წელი გამოიარა საქართველომ ისე, რომ ეს კანონი არ გვქონია. უამრავ განსაცდელში გვივლია, აგენტების სიუხვეც არ გვაკლდა და არ გვაკლდა არც ტენდენციური მასმედია, ამ ყველაფრის შემდეგ კი საქართველო ისევ აგრძელებს ცხოვრებას. ამდენად, ჩვენმა ქვეყანამ შეიძლება კვლავაც გააგრძელოს ცხოვრება ისე, რომ სალაპარაკო არავის მისცეს.

ანალიტიკოსი **იგორ კვესელავა** მიიჩნევს, რომ გავლენის აგენტის კანონპროექტზე საუბარი ხელისუფლებამ დაიწყო იმიტომ, რომ ოპოზიცია ძირითადად საზრდოობს იმ თანხებით, რომლებიც ევროპიდან და ამერიკიდან შემოდის.

„დიდი ხანია, საქართველოში შემოდის ეს თანხები, განსაკუთრებით, შევარდნაძის ხელისუფლების შემდეგ განვითარდა ეს პროცესი. გვახსოვს, სოროსი როგორ აფინანსებდა ქართველ მეცნიერებს, აკადემიკოსებს, აძლევდა მათ ას დოლარს, ას ორმოცდაათ დოლარს, მაგრამ ამ თანხას „უფასოდ" არ აძლევდა, სოროსი მათგან ითხოვდა მეცნიერულ იდეებს, ჩვენი მეცნიერებიც იძულებულნი იყვნენ, გაეყიდათ საკუთარი იდეები, ამ იდეებს სოროსი მერე იყენებდა პრაქტიკული განხორციელებისთვის. გარდა ამისა, სოროსი ბევრ რევოლუციაში იღებდა მონაწილეობას, სხვადასხვა ქვეყანაში სოროსს ხელისუფლებები მოჰყავდა, ასე იყო შევარდნაძის მოყვანა, შემდეგ შევარდნაძის „წაყვანა", ასე იყო სააკაშვილთან დაკავშირებითაც, სოროსი წყვეტდა მოყვანასაც და წაყვანასაც", — აღნიშნა იგორ კვესელავამ და შემთხვევითობად არ მიიჩნია ის ფაქტი, რომ ამდენი ხნის შემდეგ სწორედ ახლა წამოიჭრა ეს საკითხი.

მისი თქმით, ეს ფინანსები შემთხვევით არ იგზავნება საქართველოში, აქ ორმაგ მოგებაზეა საუბარი. როცა ამერიკულ და ევროპულ დაფინანსებას აგზავნიან და საქართველოთი ინტერესდებიან, უნდა იყოს ეს ხალხი გაცნობილი ჩვენს რეალობას, მათ უნდა იცოდნენ, ვის აძლევენ ფულს, რაც არ უნდა გახმაურდეს.

იგორ კვესელავა აკონკრეტებს, რომ, ვთქვათ, საუბარია 100-მილიონიან დაფინანსებაზე, მიღებული ამბავია, რომ ეს თანხა იყოფა შუაში, იწერება, რომ ჩვენ მივიღეთ 100 მილიონი, მაგრამ თანხის ნახევარი მიდის ისევ გამომგზავნთან, ეს არის ცნობილი გარიგება, ე.წ. ატკატი, რომლითაც ორივე მხარე სარგებლობს. არადა, წესით, ეს არავის ჯიბის თანხა არ უნდა იყოს, ეს არის ევროკავშირის თანხა, ამერიკის თანხა.

„ომი მიმდინარეობს ხისტი ძალით, ანუ შეიარაღებით, მაგრამ, ასევე ომი მიმდინარეობს რბილი ძალითაც, სწორედ რბილი ძალის ნაწილია უცხოეთიდან შემოსული დაფინანსებაც. ამდენად, მე ვემხრობი ფინანსურ გამჭვირვალობას არა მარტო ოპოზიციისთვის, არამედ აქ ლაპარაკი უნდა იყოს სახელმწიფო გამჭვირვალობაზეც. გამჭვირვალობა ყველას უნდა მოეთხოვებოდეს — როგორც საერთაშორისო ორგანიზაციებს, ისე სახელმწიფოს, რადგან აგენტი არც სახელმწიფოს უნდა ჰყავდეს და არც ოპოზიციას. ახლა მორიგი მცდელობაა, ამერიკიდან და ევროპიდან შემოსული თანხები არ მოხმარდეს ოპოზიციის გაძლიერებას. მით უმეტეს, არჩევნები ახლოვდება, სიტუაცია მწვავდება, ამერიკის დეპარტამენტიც ამ კანონპროექტის გამო უკვე უპირისპირდება ჩვენს ხელისუფლებას. აქ საინტერესოა პრეზიდენტის პოზიცია, ფაქტობრივად, საქართველოში ჩამოყალიბდა, ერთი მხრივ, პრეზიდენტის პოზიცია, მეორე მხრივ, არასამთავრობო ორგანიზაციების და ოპოზიციის პოზიცია და ყველაფერ ამისგან ცალკე მდგომი „ქართული ოცნების" პოზიცია. ეს ნიშნავს, რომ ამ კანონპროექტის გამო ურთულესი მდგომარეობაა შექმნილი", — დასძინა იგორ კვესელავამ.

მანანა ნოზაძე

ლობისტების ანკესზე წამოგებული ევროპა

მას შემდეგ, რაც ევროკავშირის ელჩმა საქართველოში პაველ ჰერჩინსკიმ ევროკავშირის 27 წევრი სახელმწიფოს სახელით სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო იუსტიციის მინისტრს დემარში გადასცა, გაჩნდა კითხვა, რაღაცით ხომ არ ემსგავსება პაველ ჰერჩინსკი თავის წინამორბედ კარლ ჰარცელს, რომელიც მიხეილ სააკაშვილის ქომაგად იყო ქცეული და მის ფიზიკურ თუ ფსიქიკურ მდგომარეობაზე პასუხისმგებლობას სახელმწიფოს აკისრებდა?!

მართალია, დემარშის გადაცემაში მონაწილე შვედეთის ელჩმა მოგვიანებით განმარტა, რომ ასეთი პოლიტიკური პოზიცია მხოლოდ იმის გამო გამოხატეს, რომ დაეყრდნენ ცნობებს ექსპრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, მაგრამ ანალიტიკოსებს ეჭვი უჩნდებათ, რომ, ამ შემთხვევაში, სააკაშვილის ლობისტებმა კარგად „იმუშავეს".



* * *

ანალიტიკოს **რამაზ საყვარელიძეს** უჭირს ევროკავშირის ძველი და ახალი ელჩების ერთმანეთთან გაიგივება, რადგან ჯერ არ არის დასრულებული პროცესები. მისი აზრით, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ მოხერხდა კარლ ჰარცელის პოლიტიკური ორიენტაციის დანახვა.

ასევე მოხდება პაველ ჰერჩინსკისთან მიმართებითაც, გარკვეული დროის შემდეგ უფრო ნათლად დავინახავთ ჰერჩინსკის პოზიციას.

„პაველ ჰერჩინსკიმ დემარში გადასცა იუსტიციის მინისტრს, ოღონდ ეს მისი ინიციატივა არ ყოფილა, მას დაავალა ევროკავშირმა და მანაც გადასცა, აქ მთავარია, რომ სააკაშვილის ლობისტებმა იმუშავეს, მაგრამ ლობისტებმა იმუშავეს არა ელჩ პაველ ჰერჩინსკისთან, არამედ ევროკავშირთან, რადგან ფაქტია, ლობისტების გამოჩენის შემდეგ დაიწყო სააკაშვილის მიმართ მხარდაჭერა. ლობისტების ანკესზე ძალიან ადვილად ეგება ევროპული პოლიტიკა, ევროპაში ყოველ მეორე დღეს ვიღაცას აპატიმრებენ ქრთამის აღების ბრალდებით, ლობიზმი კი ქრთამის მიცემის ერთ-ერთი ოფიციალური ფორმაა", — აღნიშნა რამაზ საყვარელიძემ For.ge-სთან საუბრისას.

* * *

ანალიტიკოსი **ვახტანგ მაისაია** მიიჩნევს, რომ კარლ ჰარცელიც და პაველ ჰერჩინსკიც გამოცდილი დიპლომატები და სწორი პოლიტიკური აზროვნების პიროვნებები არიან, მაისაია ორივე მათგანს იცნობს, პატივს სცემს და ევროპული დემოკრატიის სიმბოლოებად მიაჩნია.

„ევროკავშირის ახლანდელი და ყოფილი ელჩები განათლებული და ევროპული გაგების ადამიანები არიან, მე კარგად მესმის მათი პოზიცია თუნდაც იმიტომ, რომ ევროპაში სხვა დამოკიდებულება აქვთ პატიმრობაში მყოფ ყოფილ ხელისუფალთა მიმართ. მაგალითად, პინოჩეტს, რომელიც ყველაზე დიდი ჯალათი იყო და 3 ათასი ესპანელი მოქალაქე ცოცხლად დაწვა, უფლება მისცეს, სამკურნალოდ წასულიყო. ევროპაში სხვა მიდგომა, სხვა კანონები აქვთ, ჩვენ ევ-

ირაკლი მენაღარიშვილი:

პოლიტიკოსების ჯგუფი ვერ შეცვლის ქართველი ხალხის არჩევანს!

აქტუალურ საკითხებზე გვესაუბრება 1995-2003 წლებში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი



ყოველი ღამე თენდება!

– გაგონილ ირაკლი, ეგოისტურია ამის თქმა, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ ვეჭიდებოდეთ შესაძლებლობებს, რომლებიც რუსეთის აგრესიისადმი უკრაინის წინააღმდეგობამ გააჩინა ჩვენთვის, რჩება განცდა, რომ მათ უბრალოდ ვანიავებთ. ამ დღეებში კი პარლამენტმა დაიწყო კანონპროექტის განხილვა, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის ქვეყნის მიერ დეკლარირებულ საგარეო პოლიტიკურ კურსთან, შესაბამისად – კონსტიტუციასთან. როგორ მივედით აქამდე?

– გეთანხმებით, რომ ბოლო დღეების მოვლენები ნამდვილად არ იყო სიმპათიის ღირსი. მსგავსი რამ საზოგადოებაში ხდება ხოლმე, მაგრამ რაც ნაკლები იქნება, მით უკეთესი. მოხდა იმიტომ, რომ ჩვენთან კრიტიკული პოლემიკა, დისკუსი არაა ისე დამკვიდრებული, როგორც უნდა იყოს თანამედროვე საზოგადოებაში. გვიჭირს ხოლმე სიმართლისთვის თვალებში ჩახედვა. ჩვენი საზოგადოება არაა ჩვეული მსგავსი მწვავე თემების საჯაროდ თუ დახურულ ფორმატში სერიოზულ განხილვას. პარლამენტარიზმიც ხომ თავისთავად რაიმე განსაკუთრებული მოვლენა არ არის? ეს არის საზოგადოების განვითარების შედეგი. საზოგადოება უნდა ჩამოყალიბდეს იმ დონეზე, რომ ქვეყნისთვის მწვავე საკითხების განხილვას ჰქონდეს თავისი ფორმა და საფუძველი.

– ევროპულმა ოჯახმა, რომლისკენაც ვისწრაფვით, ძალიან მკაფიო ტექსტით, ყოველგვარი დიპლომატიური ქარაგმების გარეშე თქვა, რომ ეს წინააღმდეგობაში მოდის ჩვენს მიერ დეკლარირებულ კურსთან, მინიმუმ ორ პუნქტთან იმ 12 რეკომენდაციისა, რომელიც ევროკავშირმა განგვისაზღვრა. შესაბამისად, წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციასთან, რომელიც გვეუბნება, რომ კონსტიტუციურმა ორგანოებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის ხელშეწყობისთვის. ჩვენ კი ვსხედვართ და ანტიევროპულ კანონებზე, რომელთა მიმართაც სიმპათიას ამჟღავნებს მმართველი გუნდი, ვმსჯელობთ პარლამენტში, ნაცვლად რეკომენდაციების შესრულებისა...

– ჩემი აზრი გითხარით, თუმცა სულაც არ მაქვს პრეტენზია, რომ ის საბოლოო ჭეშმარიტებაა. ვფიქრობ, ეს არის კრიტიკის ნაკლებობა საკუთარი საქციელისადმი, რომელიც სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებაში ფეხმოკიდებულია, მათ შორის, საპარლამენტო სტრუქტურაში. გასაგებია, რომ პარლამენტარები საზოგადოების ნაწილს წარმოადგენენ, მათ ახასიათებთ ყველა ის ნაკლი, რაც მთლიანად საზოგადოებას – ამგვარი საჯარო დისკუსიების კულტურის ნაკლებობა. ამგვარი დისკუსიები ჩვენთან მრავალი წლის განმავლობაში არ ხდებოდა, ამიტომ, მისი გამართვის და ობიექტურად განსჯის ტრადიცია ჩვენთან ნაკლებია. ამას წლები სჭირდება და ალბათ, ჩამოყალიბდება, მთავარია, თავად პროცესი არ შეჩერდეს და განვითარდეს, როგორც ეს ეგების. ყოველ შემთხვევაში, მე პესიმისტურად არ ვარ განწყობილი, თუმცა ტელევიზიით 2 თუ 3 მარტს გამართული შოუს ყურება დამთრგუნველი იყო. მიუხედავად ამისა, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენი საზოგადოებისთვის დიაგნოზი საბოლოოა და გამოსავალი არ არსებობს. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი გამოსწორდება...

– ზოგადად, იმედი ბოლოს კვდება, მაგრამ მმართველი გუნდისთვის არის ეს დიაგნოზი?

– იგივე შემილია, ვთქვა ყველა სტრუქტურაზე.

– კონკრეტულ შემთხვევაში, ვიდრე ეს კანონპროექტი კანონად იქცევა, იმედი რჩება, მაგრამ როგორც ჩანს მმართველი გუნდი მისი მიღებისკენ ისწრაფვის. გვესმის, რომ აქ მხოლოდ ერთ კანონზე არ არის ლაპარაკი, მას აქვს კონტექსტი, მათ შორის პარტნიორების ღია პოზიციონირება. მმართველ გუნდს შეეძლო, ეზრუნა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღებაზე და ეს გამოეყენებინა ძალიან ოსტატურად შიდა საზოგადოებასთან პოზიციონირებაში, ისევე როგორც მთელი ამ ხნის განმავლობაში იყენებდა, „ევროპისკენ თუ რამ პოზიტიური ნამიჯებია გადადგმული, ჩვენ გადავდგითო“. ეს ღია კონფრონტაცია რაში სჭირდება? გიფიქრიათ ამაზე?

– პასუხი არ მაქვს. ასეთ საკითხებზე მსჯელობას სჭირდება ამ თემის ირგვლივ პროფესიონალიზმი. ეს არის მოაზროვნე პოლიტიკოსების და პოლიტიკოსების საქმე, რომელთაც სერიოზულად უნდა იფიქრონ იმაზე, თუ რა პროცესები მიმდინარეობს ჩვენს პოლიტიკურ ველში. სამწუხაროა, რომ ეს ყველაფერი სათანადოდ ვერ კეთდება, ამიტომაც შედეგი ისეთია, როგორიც არის. ცხადია, ამას გამოსწორება სჭირდება.

– კეთილი, მაშინ ასე დავსვამ კითხვას: თქვენ იყავით ჩართული ქვეყნის საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში, როდესაც ქვეყანამ კურსი აიღო დასავლეთისკენ, გაქვთ დიდი პოლიტიკური მეხსიერება, გქონდათ პროცესებზე დაკვირვების შესაძლებლობაც. გრჩებათ შთაბეჭდილება, რომ ღიად ვუხვევთ დეკლარირებული კურსისგან?

– არა! ღმერთმა დაგვიფაროს!

– რა გაძლევთ ამ ოპტიმიზმის საფუძველს – ფაქტობრივი გარემოებები, თუ უბრალოდ ადამიანური ოპტიმიზმი?

– ის, რომ ჩვენს კონსტიტუციაში პირდაპირ წერია ჩვენი ქვეყნის დასავლური კურსი.

იხ. 8 გვ.

ირაკლი მენაღარიშვილი: დასავლური ორიენტაცია ჩემთვის ფორმალური განაცხადი არაა! მე იმ თაობის პოლიტიკოსებს ვაკუთვნებ თავს, რომელთაც ეს არჩევანი „კბილებით“ გაიტანეს. ეს არჩევანი გაკეთდა 90-იან წლებში, როდესაც ქვეყანა ფაქტობრივად ნგრევის პირას იყო... დღევანდელი უღირსი საქციელი ზოგიერთებისა, იგივე პარლამენტში, არაფერია იმასთან შედარებით, რაც იყო 90-იან წლებში. ადამიანები ტყვიაზე მიდიოდნენ! მაშინდელმა თაობამ (ვისთან ერთადაც ვმონაწილეობდი ამ პროცესში) საოცარი გმირობა ჩაიდინა, როდესაც მთელს საზოგადოებას დაუმტკიცეს, რომ ქვეყანას ეს კურსი უნდა აერჩია!

როპას ცოტა აცდენილნი ვართ და ჯერჯერობით გამოსულნი არ ვართ პოსტსაბჭოთა სინდრომიდან, ჩვენ მოვლენებს ვუყურებთ მხოლოდ ორ ფერში – შავად და თეთრად, ევროპა სხვანაირად უყურებს ამას. კი, სააკაშვილი იყო ავტოკრატი, საშინელი პოლიტიკური ურჩხული, მაგრამ თუ მისი უფლებები ირღვევა და ავად არის, მაშინ ევროპელები აბსოლუტურად სხვანაირად აღიქვამენ ამას“, – აღნიშნა ვახტანგ მაისაიამ.

მანვე გაიხსენა, რომ თავის დროზე **ერიხ ჰონეკერიც** დაიჭირეს, გაასამართლეს, ასევე, პოლონეთის კომუნისტური პარტიის ლიდერი, გენერალი **იარუზელსკიც,** მაგრამ მოგვიანებით მიუტევეს და გაუშვეს. ცხადია, ჰონეკერი, იარუზელსკი და სააკაშვილი ერთ დონეზე არ დგანან ხისტი პოლიტიკით, ავტოკრატიული მმართველობის სტილით. უბრალოდ, ევროპელებს სხვანაირი გაგება აქვთ, ჩვენ სხვანაირი. ამის მაგალითია **ბრეივიკიც,** მან 80 კაცი დახოცა, მაგრამ როგორი პირობები აქვს შექმნილი ციხეში, სააკაშვილი კი ციხეშიც არ არის, ის კლინიკაში მკურნალობს.

* * *

ანალიტიკოსი **იგორ კვესელავა** მიიჩნევს, რომ პაველ ჭერჩინსკი აგრძელებს იმ სცენარს, რაც მისი წინამორბედის კარლ ჰარცელის დროს იყო. კერძოდ, სააკაშვილთან დაკავშირებით აშკარაა ამერიკის, ევროპის პოზიცია, ამიტომაც 27 ქვეყანა დემარშს გამოხატავს სააკაშვილთან დაკავშირებით. ეს ნიშნავს, რომ მიშა სააკაშვილი თავის ტკივილი გახდა ჩვენი ხელისუფლებისთვის, ამ თავის ტკივილს ვეღარ იშორებენ, რადგან მისი მოშორება ქართველი საზოგადოების ერთ ნაწილში დაბადებს განცდას, რომ ხელისუფლება სუსტია და სააკაშვილს ვერ მოერია, რაც „ქართულ ოცნებას“ არ აწყობს, რათა არჩევნებზე ქულები არ დააკლდეს.

„წლების განმავლობაში ჩვენ ვხედავთ დაპირისპირებებს ხელისუფლებებს შორის. სააკაშვილის შემთხვევაში, მართალია, პიროვნებამ დააშავა, მაგრამ საქმე ეხება ყოფილ პრეზიდენტს. ამდენად, ზოგჯერ ხელისუფლება იძულებულია, სხვანაირად მოიქცეს. ე.წ. ლევი ფული ყველა ხელისუფალს აქვს, ხელისუფლებაში რომ ხარ, ვერ დათვლი, საჩუქარს რომ მიართმევ სხვა ქვეყნის წარმომადგენელს, რამდენი დაიხარჯა.

სხვა საკითხია გირგვლიანის და სხვა ადამიანების ტრაგედიები, მაგრამ ამას დამტკიცება სჭირდება, ამის დამამტკიცებელი პირდაპირი საბუთები, სამართლებრივი დოკუმენტები არ არის. შევარდნაძის დროს ციხეებში საშინელება ხდებოდა, გავიხსენოთ, ცირეკიძის დროს რა ხდებოდა. პოლიტიკაში არსებობს დათმობა.

ახლა კი გამოდის, რომ ამერიკას და ევროპას, რომელმაც ფეხზე წამოგვაყენა და ფინანსურად დაგვეხმარა, უარს ვეუბნებით სააკაშვილთან დაკავშირებით. აქ სახელმწიფოებრივ აზროვნებაზეა საუბარი, მაგრამ საქართველოში სახელმწიფოებრივი კი არა, პოლიტიკური აზროვნებაა“, – აცხადებს იგორ კვესელავა.

მანანა ნოზაძე

ესეც შენი ამერიკული დემოკრატია!

ფლორიდის შტატის საკანონმდებლო ორგანოში დარეგისტრირდა კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც ბლოგერებმა, რომლებიც გუბერნატორ რონ დესანტისის, მისი კაბინეტის ან დეპუტატების შესახებ წერენ, რეგისტრაცია უნდა გაიარონ..

კანონპროექტის ავტორია რესპუბლიკელი სენატორი ჯეისონ ბროდერი. კანონპროექტის თანახმად, ბლოგერებმა ასევე უნდა მიუთითონ, ვინ და რამდენი გადაუხადა მათ ამა თუ იმ სტატიის გამოქვეყნების სანაცვლოდ, რომელიც „არჩეულ თანამდებობის პირებს“ ეხება.

„თუ ბლოგერი აქვეყნებს სტატიას არჩეული თანამდებობის პირის შესახებ და ამისთვის კომპენსაციას იღებს ან მიიღებს, მან სტატიის გამოქვეყნებიდან ხუთი დღის ვადაში შესაბამის სამსახურში რეგისტრაცია უნდა გაიაროს“, – აღნიშნულია კანონპროექტში. რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში ბლოგერი ყოველდღე 25 დოლარით დაჯარიმდება, ერთ პუბლიკაციაზე ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა კი 2500 დოლარით არის განსაზღვრული.

დესანტისის ოფისში განაცხადეს, რომ, „როგორც ყოველთვის, გუბერნატორი კანონპროექტს მაშინ შეაფასებს, თუ მას საკანონმდებლო ორგანო მიიღებს“.



„დაფინანსებული ბლოგერები არიან ლობისტები, რომლებიც საუბრის ნაცვლად წერენ. თუ ლობისტებს რეგისტრაციის გავლა და ანგარიშგება ევალებათ, რატომ არ უნდა დაევალოს იგივე დაფინანსებულ ბლოგერებს?“ – აცხადებს ინიციატივის ავტორი ჯეისონ ბროდერი.

დღის უმთავრესი პრობლემა:

არ არის სამუშაო ძალა, ვინც შრომობს, უვიცია!

ხელისუფლება პროფესიული საკადრო დეფიციტის აღმოსაფხვრელად გააქტიურებას იწყებს. სპეციალისტებზე მოთხოვნა დიდია, მაგრამ შევსება სრულიად არასაკმარისი. ამჯერად სპეციალური პროგრამა თბილისის მერიამ გამოაცხადა.

თბილისის მერიამ პროგრამაზე „ისწავლე და დასაქმდი" რეგისტრაცია გამოაცხადა. დედაქალაქის მერიის ცნობით, პროცესი 16 მარტის ჩათვლით გაგრძელდება, ხოლო სასწავლო პროცესი 20 მარტს დაიწყება. ამ ეტაპზე პროგრამაში 1500-ზე მეტი მოქალაქე ჩაერთვება, ხოლო 2023-2025 წლებში 10 000 მოქალაქის ჩართვაა დაგეგმილი. მათივე ინფორმაციით, პროგრამა თბილისში მოქმედი პროფესიული სახელმწიფო კოლეჯების და სასწავლო ცენტრების გაზაზე და კერძო სექტორთან აქტიური თანამშრომლობით ხორციელდება.

„პროგრამაში წარმოდგენილია სამშენებლო, საინჟინრო, ინფორმაციული ტექნოლოგიების, დიზაინის, სურსათის ტექნოლოგიების, ტურიზმის, მომსახურების, საფინანსო, ტრანსპორტის, ვეტერინარიის და ჯანმრთელობის დაცვის სფეროებიდან 50-მდე პროფესიული სპეციალობა", – განმარტავენ თბილისის მერიაში.

თბილისის მერმა **კახა კალაძემ** კადრების დეფიციტზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ სამშენებლო სექტორში ამ მიმართულებით განსაკუთრებით დიდი პრობლემებია. შრომით მიგრაციას ევროკავშირთან ვიზალიბერალიზაციის პროცესიც უწყობს ხელს.

„თანამდებობიდან გამომდინარე, სამშენებლო სექტორთან ყოველდღიური შეხება მაქვს, რადგან დედაქალაქში ბევრ პროექტს ვახორციელებთ და შემიძლია ვთქვა, რომ ამ მიმართულებით კადრების სერიოზული პრობლემაა. ვგულისხმობ კვალიფიციურ და პროფესიონალ კადრებს.

ასევე უნდა ითქვას, რომ სამუშაო ძალის გადინების დიდი მაჩვენებელია. ადამიანს აქვს სურვილი, ევროპაში წავიდეს და უფრო მაღალი ანაზღაურება ჰქონდეს მისსავე საქმიანობაში. იმაში, რასაც დღეს საქართველოში საქმიანობით 2 000 ლარს იღებს, ევროპაში 2 000 ევროს და უფრო მეტს გადაუხდიან. რა თქმა უნდა, ადამიანს აქვს სურვილი, რომ წავიდეს და იქ განვითარდეს", – განაცხადა კალაძემ.

პრობლემის სიმწვავეს ადასტურებს საქართველოს მიზნესასოციაციაც. **სოსო ფხაკაძის** განცხადებით, ორი მთავარი პრობლემა, რომელიც მიზნესსექტორს აქვს, სამუშაო ძალისა და კვალიფიციური კადრების დეფიციტია. „საქართველოს მიზნესასოციაცია ატარებს კვლევებს და ყოველ კვარტალში აქვეყნებს შესაბამის ინდექსს. როცა მიზნესს ვეკითხებით, რა არის მათთვის მთავარი პრობლემა, ორი საკითხი, რაც იკვეთება სამუშაო ძალისა და კვალიფიციური კადრების დეფიციტია. ეს არის რეალური პრობლემა, რაც მიზნესს აწუხებს. რასაკვირველია, სახელმწიფომ მიზნეს სექტორთან ერთად, ბევრი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა მიიღოს კვალიფიციური განათლება – პროფესიულ სასწავლებლებში ადამიანების გაშვების კუთხით. ადამიანები მოკლევადიანი კურსის გავლის შემდგომ შეიძენენ იმ უნარ-ჩვევებს, რომლებიც შემდეგ მათ დასაქმებისთვის გამოადგებათ. ნებისმიერ მიზნესს რომ ჰკითხოთ, კადრების ქრონიკული დეფიციტი აქვს.

„მიზნესმენებს ყველაზე მეტად გვინდა, რომ რაც შეიძლება მეტი ინვესტიცია ჩავდოთ ჩვენს ქვეყანაში და რაც შეიძლება მეტი სამუშაო ადგილები შევქმნათ, სახელმწიფო ამაში უნდა გვეხმარებოდეს. კარგია, რომ ასეთი პროექტი არსებობს", – აღნიშნა სოსო ფხაკაძემ.

პროფესიული კადრების დეფიციტის გადაჭრის თვალსაზრისით სახელმწიფო სხვა მიმართულებითაც აქტიურობს. ერთ-ერთია კოლეჯებისა და პროფესიული სასწავლებლების გაძლიერება. ამ მხრივ გარკვეული შედეგი უკვე არის. ბოლო პერიოდში პროფესიული სწავლების მსურველთა რაოდენობამ 25%-ით მოიმატა, თუმცა წელიწადში 5-6 ათასი კურსდამთავრებული მაინც ძალიან ცოტაა იმისთვის, რათა მზარდი საკადრო დეფიციტი ჯერ შეჩერდეს და მერე აღმოიფხვრას.

ბექა დანელია

გიორგი გუგუჩია: გმადლობთ, იაპონელებო!

იაპონიის სალეჩო სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ორ ახალ პროექტს დააფინანსებს

იაპონიის საელჩოში სამი პროექტის ხელმოწერის ცერემონია გაიმართა, რომელთა საერთო ღირებულება 336 554 აშშ დოლარია. აქედან ორი პროექტი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში განხორციელდება.

პროექტის ფარგლებში მოხდება რუხის რესპუბლიკური საავადმყოფოს უახლესი სამედიცინო ტექნოლოგიით აღჭურვა. მეორე პროექტი სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონში მობილური ვეტ-კლინიკის სერვისის შექმნას გულისხმობს. პროექტები დაფინანსებულია იაპონიის საელჩოს ადამიანის უსაფრთხოების საგრანტო პროგრამის (GGP) ფარგლებში.

ხელმოწერის ცერემონიას სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული გიორგი გუგუჩია, იაპონიის ელჩი საქართველოში იმამურა აკირა და სხვა ოფიციალური პირები დაესწრნენ.

„ჩვენს რეგიონსა და იაპონიის საელჩოს მჭიდრო თანამშრომლობა აქვთ, მნიშვნელოვანი მხარდაჭერა გვაქვს მიღებული არაერთი მიმართულებით. მიხარია, რომ იაპონიის მთავრობის დაფინანსებულ 3 პროექტს შორის 2 პროექტი ჩვენი რეგიონიდანაა.

მნიშვნელოვანია, რომ საელჩოდან მიღებული გრანტით, მოხდება რუხის სამედიცინო ცენტრის უახლესი სამედიცინო ტექნოლოგიით აღჭურვა, რაც მოხმარდება საავადმყოფოში კარდიოლოგიური და ნევროლოგიური სერვისების განვითარებას. ეს საავადმყოფო მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ის წარმოადგენს უახლოეს სამედიცინო დაწესებულებას ოკუპირებულ აფხაზეთში მცხოვრები ჩვენი მოქალაქეებისთვის.

ასევე მნიშვნელოვანია მეორე პროექტი, რომელიც ეხება სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონში მობილური ვეტ-კლინიკის სერვისის შექმნას, რაც რეგიონში მეცხოველეობის განვითარებას და ვეტერინარული სერვისების ადგილზე მიღებას ხელს შეუწყობს.

იაპონიის საელჩოსთან თანამშრომლობით, ადრეც ბევრი მნიშვნელოვანი მიმართულება იქნა მხარდაჭერილი. გამოვყოფდი ზუგდიდში თანამედროვე კვლევითი ცენტრის დაფინანსებას, რომლის მეშვეობითაც ადგილობრივ ფერმერებს შესაძლებლობა აქვთ ლაბორატორიული კვლევების განხორციელების. ასევე აღნიშვნის ღირსია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა კომპლექსური სარეაბილიტაციო ცენტრის შექმნა მესტიაში, ასევე საელჩოს დაფინანსებით მესტიის მუნიციპალიტეტს გადაეცემა პირველი საზოგადოებრივი ავტობუსი. ზუგდიდში დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის საგანძურის საგამოფენო დარბაზები სწორედ იაპონიის საელჩოს ხელშეწყობით გარემონტდა-განახლდა – მადლობა იაპონელ ხალხს ამ დახმარებებისთვის", – განაცხადა შეხვედრაზე სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულმა **გიორგი გუგუჩიამ.**

გუდა, ტყემალი, ჩურჩხელა, ქუთაისის მწვანილი და...

საქპატენტი: გეოგრაფიული აღნიშვნების მსოფლიო სიმპოზიუმის მასპინძელი საქართველო იქნება

გეოგრაფიული აღნიშვნების მსოფლიო სიმპოზიუმი, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) გადაწყვეტილებით, საქართველოში გაიმართება. „საქპატენტის" ინფორმაციით, 14 და 15 ივნისს თბილისი უმასპინძლებს ფორუმს, რომელსაც დაესწრებიან საერთაშორისო და რეგიონული გაერთიანებების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვადასხვა ქვეყნების სამთავრობო უწყებების, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ეროვნული უწყებების, გეოგრაფიული აღნიშვნებით დაცული პროდუქციის მწარმოებელთა გაერთიანებების წარმომადგენლები და გეოგრაფიული აღნიშვნების სპეციალისტები მთელი მსოფლიოდან.

„გეოგრაფიული აღნიშვნების მსოფლიო სიმპოზიუმი არის გლობალური ფორუმი და პლატფორმა გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის საერთაშორისო და ეროვნული სისტემების, გამოწვევების, პერსპექტივების, დანერგილი სიახლეების განხილვისა და გამოცდილების გაზიარებისთვის. სიმპოზიუმის ფარგლებში განიხილება გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის სისტემასთან დაკავშირებული საკითხები, როგორებიც არის: გეოგრაფიული აღნიშვნების გავლენა ეკონომიკასა და მოსახლეობის სოციალურ კეთილდღეობაზე, ქვეყნების სტრატეგიულ მრენდინგში გეოგრაფიული აღნიშვნების როლი და სხვა. ღონისძიებაზე თავს მოიყრის 250-მდე სტუმარი იტალიიდან, საფრანგეთიდან, აშშ-დან, ჩინეთიდან, მექსიკიდან, ინდოეთიდან, ავსტრალიიდან, საქართველოდან და სხვა ქვეყნებიდან. ფორუმს დაესწრებიან WIPO-ს წარმოშობისა და ხარისხის ეროვნული ინსტიტუტის (FAO), გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO), ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის (UNWTO) და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) წარმომადგენლები, ასევე, ევროკომისიის წევრები. სიმპოზიუმის პროგრამით გათვალისწინებულია პანელური დისკუსია ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა გამოწვევები და შესაძლებლობები გეოგრაფიული აღნიშვნების მრენდინგისა და მარკეტინგის სტრატეგიებში, ასევე, მონაწილეები მიმოიხილავენ სხვადასხვა ქვეყანაში დანერგილ სიახლეებს გეოგრაფიული აღნიშვნების სფეროში.

კონფერენციის ფარგლებში გაიმართება გამოფენა-დეგუსტაცია, სადაც წარმოდგენილი იქნება საქპატენტის მიერ რეგისტრირებული 64 ქართული გეოგრაფიული აღნიშვნა, რომელთა შორისაა - გუდა, ტყემალი, საირმე, ჩურჩხელა, ტვიში, ჭაჭა, ნინოწმინდის თაფლი, ქუთაისის მწვანილი და სხვა განსაკუთრებული ქართული პროდუქტები, ასევე, ქვევრი. გეოგრაფიული აღნიშვნის სტატუსი მომხმარებელს აწვდის ინფორმაციას პროდუქტის წარმომავლობასა და იმ უნიკალურ მახასიათებლებზე, რაც დაკავშირებულია წარმოშობის ადგილთან, რომლის დამახასიათებელი გარემო პირობები და ადგილობრივ მოსახლეობაში არსებული წარმოების ტრადიციული ცოდნა განაპირობებს თითოეული ასეთი პროდუქტის მაღალ ხარისხსა და გამორჩეულ თვისებებს",– ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

მზექალა შანიძე:

ქართველთა თანამედროვე მეტყველება მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს!

საზოგადოებრივი მაუწყებლის 4 მარტის გადაცემაში „ამ შაბათ-კვირას“, სულმოუთქმელად ვუსმენდი 97 წლის ენათმეცნიერს, აკადემიკოს **მზექალა შანიძეს** და მეგონა ჩემზე ბევრად ახალგაზრდა, ბევრად თანამედროვედ მოაზროვნე პიროვნება ენამზეობდა.

ყველა უნივერსიტეტელს სტუდენტობისას კარგად გვახსოვს ქალბატონი მზექალას „სიმკაცრე“, შიში და კანკალი მისი ცნობილი ფრაზის გამო: „ფრიადზე ქართული ენა მამაჩემმა აკაკი შანიძემ იცოდა, ოთხიანზე ვიცი მე და თქვენ სამოწყალო სამიანებს დაგიწერთო“... თუმცა, გადამეტებული იყო ასეთი შიში.

მაგისტრატურაში სწავლის დროს გვქონდა ბედნიერება, ამ ცოცხალ ლეგენდა-ენათმეცნიერს ჩვენთვის რამდენიმე ლექცია ჩაეტარებინა. ეს მითიც მაშინ დაიმსხვრა. მომთხოვნი იყო ქალბატონი მზექალა, მაგრამ თუკი დაინახავდა მოაზროვნე, სწავლას მოწყურებულ ახალგაზრდებს, ფრიადს დიდი სიხარულით წერდა. მისი ლექციები რომ უაღრესად საგულისყურო გახლდათ, ამაზე საუბრით თავს აღარ შეგაწყენთ.

სატელევიზიო გადაცემაში იმდენად საინტერესოდ საუბრობდა ჩვენი სახელოვანი აკადემიკოსი, რომ გვინდა ჩვენი გაზეთის ფურცლებზეც გადმოვიტანოთ მისი ნააზრევი.

ვიმედოვნებ, საუკუნის ქალბატონის ეს ნააზრევი თაობებს დარჩება.

* * *

...ენის პრობლემა, ნებისმიერი საზოგადოების პრობლემაა, ენა დაკავშირებულია საზოგადოებასთან. ენა ინახავს იმ ცოდნას, რაც საზოგადოების განვითარებას სდევს თან. ის რომ, ენა არის დაკავშირებული საზოგადოებასთან, მის ისტორიასთან, ხშირად მტკიცდება ისეთი ნიშნებით, რომელიც სხვა დარგში არ მოიპოვება. ის, რაც ზოგჯერ არ შეუძლია ისტორიას ან არქეოლოგიას, შესაძლოა, ენის მეშვეობით გავარკვიოთ.

ენათმეცნიერება, ენის შესწავლა გახლავთ ძალიან რთული საკითხი. ნებისმიერი ენობრივი ერთეულის, ნებისმიერ ეროვნულ-ენობრივ განვითარებას უნდა სპეციალური ცოდნა და დიდი დაკვირვება.

სამწუხაროდ, თანამედროვე საზოგადოების მეტყველება საქართველოში ძალიან მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს. ჩვენი მეტყველება ძალიან გაფუჭდა დღევანდელი დაჩქარებული ცხოვრების გამო. ბევრი ისეთი ფორმა და სიტყვა შემოვიდა, რომელიც სალიტერატურო ენას ანაგვიანებს და აბინძურებს. ესეც საკმაოდ რთულად გადასაწყვეტია, თუ რა უნდა ჩაითვალოს ახალ შემოსულ სიტყვად და რა არის ზედმეტი.

ქართულ ენაში ისტორიულად ძალიან ბევრ სიტყვა არის შემოსული და დამკვიდრებული. ჩვენ მათი გაწმენდის სურვილი რომ გაგვიჩნდეს, მაშინ უნდა გადავაგდოთ ქართული ენიდან სიტყვები – ფანჯარა, ჩანთა, ქუჩა და ა.შ. საუკუნეთა განმავლობაში შემოსული სიტყვები უკვე ქართული ენის ძირითად ფონდში შევიდა, მაგრამ რთულია იმის გარკვევა, დღეს ჩვენს მიერ წარმოთქმული უამრავი უცხო სიტყვა, განსაკუთრებით ინგლისურენოვანი, მომავალში სრულყოფილად დაიმკვიდრებს თუ არა ადგილს სალიტერატურო ენაში. წინასწარ იმის განსაზღვრა, ხვალ როგორ დამკვიდრდებიან ისინი ლექსიკაში, შეუძლებელია, თუმცა ჯერჯერობით ყურს ძალიან გვჭრის. მე, როგორც მეცნიერი შემიძლია ვთქვა, რომ ეს სიტყვები

წიგნი, როგორც მოვლენა, კაცობრიობის უდიდესი მიღწევაა...

ჯავახიშვილის სახელობის დედაუნივერსიტეტის ორი მასწავლებელი, აკადემიკოსები აკაკი და მზექალა შანიძეები.

დარჩება თუ არა მომავალში, ამაზე პასუხს ვერავინ გაგცემთ, ამას ხვალინდელი დღე გვიჩვენებს, თუ რამდენად მოერგება, რამდენად საჭირო გახდება მსგავსი სიტყვები, როგორებიცაა: **სენსიტიური, ტრანსფორმაცია, კორპორაცია** და ა.შ.

(ისე, იმ სიტყვების ჩამოთვლა, რომლითაც დღეს ჩვენი შვილები მეტყველებენ, ცოტა მაშინებს, ხანდახან მგონია, რომ მათთან საურთიერთობოდ უცხო სიტყვათა ლექსიკონი მჭირდება: ***ლაიქი, ქრაში, ტრენინგი, ქოუჩი...*** *მთელი სიტყვების კასკადია, რომელიც მართლაც საოცრად გვჭრის ყურს.* ***ავტორის შენიშვნა).***

ენის კვლევა და მისი მომავლის წინასწარმეტყველება ძალიან ძნელია. თანამედროვე სამყაროში ფართოდ განვითარდა ჩვენი მეცნიერება, დღეს ირკვევა, რომ ენათმეცნიერებას კავშირი აქვს აზროვნებასთან, მედიცინასთან.

...მე თითქმის 100 წლის გახლავართ, ბევრი რამ გავიარე, ცუდიც და კარგიც, ვუსურვებ ახალგაზრდა ენათმეცნიერებს წინსვლას, მეტის სწავლას, იმისთვის რომ მზად იყვნენ თანამედროვე გამოწვევებისთვის, რომ დაიმკვიდრონ საკუთარი თავი, როგორც მოქალაქეებმა და როგორც ადამიანებმა.

სხვა ენის სწავლა აუცილებელია, ის ამდიდრებს ადამიანის თვალსაწიერს. ადამიანს მისი საშუალებით შეუძლია შეაღწიოს იმ ენობრივ სამყაროში, რომელიც მისთვის იქამდე უცნობი იყო. გარდა ამისა, დღეს პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს უცხო ენას, როდესაც ასე გაფართოვდა მსოფლიო, მხოლოდ ერთი ენის ცოდნით შორს ვერ წახვალ. მარტოოდენ თარჯიმნების მეშვეობით ადამიანი სამყაროს მრავალფეროვნებას ვერ მისწვდება. სასურველი კი არა, აუცილებელიც არის, რომ ადამიანმა იცოდეს რამდენიმე ენა.

წიგნის კითხვა აძლევს ადამიანს საშუალებას, რომ შეაღწიოს სხვა სამყაროში. ჩვენს თაობაში თანამედროვე კომუნიკაციის საშუალებები არ იყო. ეს მიღწევები ძალიან კარგია, მის გარეშე წარმოუდგენელია, მაგრამ წიგნის მიმართ უარყოფითი, აგდებული დამოკიდებულება ნამდვილად წარმოუდგენელია. წიგნი თავისთავად, როგორც მოვლენა, როგორც სოციალური რამ, არის კაცობრიობის უდიდესი მიღწევა. წიგნი აუცილებლად უნდა იყოს ჩვენი ცხოვრების თანამგზავრი.

ძალიან კარგია დამოუკიდებლობა, მაგრამ ამ დამოუკიდებლობის წარმართვისთვის აგრეთვე საჭიროა ძალიან დიდი სოციალური ზღვარის ქონა. ჩვენ დღეს სოციალური, პოლიტიკური და საზოგადოებრივი მრავალი პრობლემის წინაშე ვდგავართ, რომლის გადაწყვეტაც მარტივი არ გახლავთ. ამიტომ გვმართებს მეტი სიფრთხილე, მეტი დაკვირვება და მეტი ცოდნა. ჩვენს საზოგადოებაში, სამწუხაროდ, დღეს უარყოფითი უფრო სჭარბობს, აგრესიით და ცუდით იკვებება ადამიანთა დიდი ნაწილი. მომავლის განვითარება იქითკენ უნდა წავიდეს, რომ ეს თვისებები რაღაცნაირად თავიდან მოვიშოროთ.

დღეს ვმუშაობ 1231 წლის ხელნაწერზე, რომელიც ძალიან საინტერესოა, ფილოსოფიური და თეოლოგიური თვალსაზრისის განვითარებისთვის, აგრეთვე ენობრივადაც და მინდა, სანამ ცოცხალი ვარ, გამოვაქვეყნო ეს ნაშრომი.

* * *

ვუსმენდი ქალბატონ მზექალას და ვფიქრობდი თუ რამხელა ამაგი აქვს მას, მამამისს, სულმნათ აკაკი შანიძეს ჩვენი დედაენის განვითარებისთვის. მხოლოდ შესანატრია, განსაცვიფრებელია 97 წლის ასაკში ასე აზროვნებდე, ყოველდღიურად შრომობდე და შენი ერის, შენი ენის ისტორიას, შენი ცხოვრებით, მოღვაწეობით საუკუნეს მიღწეული ასე ამდიდრებდე.

სწორედ ასეთ გამორჩეულ პიროვნებებზე დგას ეს ჩვენი პატარა, მაგრამ უნიჭიერესი ხალხის სამჭედლო ქვეყანა. დაუფასებელია მათი ღვაწლი. ერთადერთი რაც შეგვიძლია ჩვენ მომავალმა თაობებმა გავაკეთოთ, ისაა, რომ მაგალითი ავიღოთ ამ უღირსეულესი ადამიანებისგან! მადლობა უფალს, რომ ჩვენს წიაღში დაიბადეთ, ქალბატონო მზექალა!..

რუსუდან ქობულია

თეა წულუკიანი: ყველა ის მეცნიერი, ვინც ხმამაღლა იტყვის, რომ დღეს გელათის სამონასტრო კომპლექსში წყალი ჩადის, არის მატყუარა და უპასუხისმგებლო

– ამის შესახებ ვიცე-პრემიერმა, კულტურის მინისტრმა გადაცემაში „იმედი LIVE“ განაცხადა. როგორც თეა წულუკიანმა აღნიშნა, გელათის რეაბილიტაცია 2008 წელს „ნაციონალებმა“ გადაწყვიტეს.

„შედგა პროექტი, რომელიც იყო არა ვინმე არქიტექტორ-რესტავრატორის, არამედ თეატრმცოდნე - კახა ტრაპაიძის. მან შეადგინა სახურავის პროექტი, რომელშიც შემდეგ ჩაერთო გიორგი გაგოშიძე, ასევე მეცნიერი, რომელმაც თქვა: ავაღორძინოთ დავითის დროინდელი კრამიტის ტრადიცია და სანზონაში, ღუმელში „გამოაცხვეს“ კრამიტი და გელათს დაახურეს. ეს, ბოლო ორი წლის განმავლობაში ფაქტები ვადგინე და იმას ვყვები, თორემ ეს ფაქტებიც არ იყო ცნობილი. ამ სახურავს არ აქვს არანაირი წყლის სისტემა, რომელიც ნალექს ძეგლისგან განარიდებს. პირველი ვიყავი მე, ვინც ვთქვი, რომ ჩავატაროთ ექსპერტიზა და აღმოჩნდა, რომ კრამიტს ექსპერტიზაც არ ჰქონდა გავლილი.

2021 წელს, სამხარაულის ექსპერტიზამ გამომიგზავნა დასკვნა, სადაც ეწერა, რომ ეს კრამიტი არც ყინვას უძლებს და არც წყალმედეგია. ეს დიაგნოზი დავსვით ჩვენ. ეს ადამიანები, როგორ თუ მე დიაგნოზი დავსვი მათ ჩადენილ საქციელებზე, ამხედრდნენ და დაიწყეს, რომ ვიღაც სხვას შეახოცონ ხელი. ჩემზე ხელის შეხოცვა ძნელია, რადგან ფაქტები არის ჯიუტი“, – აღნიშნა თეა წულუკიანმა.

ქართული კულტურის დღეები ბელგრადში

ქართული კულტურის დღეების ფარგლებში, სერბეთის რესპუბლიკაში, ბელგრადში საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის წარმომადგენლები ქართული კულტურის საღამოს დაესწრნენ.

ღონისძიების ფარგლებში წარმოდგენილი იყო ქართული პოლიფონიური სიმღერები ანსამბლ „ჰერიოს“ შესრულებით და ქართული ტრადიციული ცეკვები სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „აფხაზეთის“ შესრულებით, „ნაციონალური სამოსის სახლის“ ქართული ეროვნული სამოსის კოლექცია, გამოფენა „ქართული ანბანის სამი სახეობა“, ქართული ქვევრის ისტორია და ღვინის დაყენების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციული წესი.

ქართული კულტურის საღამოს ესწრებოდნენ სერბეთის მთავრობისა და ეროვნული ასამბლეის წევრები, მნიშვნელოვანი ბიზნესსფეროების წარმომადგენლები, სერბეთსა და ბალკანეთის სხვა ქვეყნებში მცხოვრები ქართველი დიასპორელები. საქართველოს საპარლამენტო დელეგაციიდან კი – დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ბექა ოდიშარია, აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე გელა სამხარაული და დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნოდარ ტურძელაძე.



ირაკლი მენაღარიშვილი: პოლიტიკოსების ჯგუფი ვერ შეცვლის ქართველი ხალხის არჩევანს!

პარლამენტარები საზოგადოების ნაწილს წარმოადგენენ, მათ ახასიათებთ ყველა ის ნაკლი, რაც მთლიანად საზოგადოებას – ამგვარი საჯარო დისკუსიების კულტურის ნაკლებობა. ამგვარი დისკუსიები ჩვენთან მრავალი წლის განმავლობაში არ ხდებოდა, ამიტომ, მისი გამართვის და ობიექტურად განსჯის ტრადიცია ჩვენთან ნაკლებია.

(მეხუთე გვერდიდან) – **კონსტიტუციაში მაგალითად, ისიც წერია, რომ ყველანი თანასწორები ვართ, მაგრამ თუ გადავხედავთ ჩვენს სოციუმს, რეალურად ვართ კი თანასწორები?!**

– ყველაფერს, რაც ჩვენს ირგვლივ ხდება, სათანადოდ უნდა მოვეკიდოთ ხომ? თუ მე და თქვენ პატივი არ ვეცით იმ დოკუმენტს, რომელსაც ქვეყნის კონსტიტუცია ჰქვია, ყველაფერი დაიღუპება! ის რომ, კონსტიტუციაში ასეთი ჩანაწერი გაკეთდა, ჩემთვის ფორმალური ჟესტი არ არის! ეს არის ვალდებულება, რომელიც შეიძლება, ერთხელ დაარღვიონ, მეორედ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს საზოგადოების ხელში ეს არის ინსტრუმენტი, რომელმაც ქვეყანა ყველა შემთხვევაში უნდა დააბრუნოს სწორ კურსზე. დასავლური ორიენტაცია ჩემთვის ფორმალური განაცხადი არაა! მე იმ თაობის პოლიტიკოსებს ვაკუთვნებ თავს, რომელთაც ეს არჩევანი „კბილებით“ გაიტანეს. ეს არჩევანი გაკეთდა 90-იან წლებში, როდესაც ქვეყანა ფაქტობრივად ნგრევის პირას იყო. აფხაზეთის ტრაგედიის, სამოქალაქო ომის, სახელმწიფოებრიობის მოშლის შემდეგ სრული ქაოსი იყო და ქვეყანა საითკენ უნდა წასულიყო, არავის ჰქონდა წარმოდგენა. ამ დროს ტიტანური ძალისხმევა იყო საჭირო, რომ ქვეყანას სწორი მიმართულება აერჩია და ასეთი არჩევანი მართლაც გაკეთდა საოცარი ძალისხმევის შედეგად! დღევანდელი უღირსი საქციელი ზოგიერთებისა, იგივე პარლამენტში, არაფერია იმასთან შედარებით, რაც იყო 90-იან წლებში. ადამიანები ტყვიაზე მიდიოდნენ! მაშინდელმა თაობამ (ვისთან ერთადაც ვმონაწილეობდი ამ პროცესში) საოცარი გმირობა ჩაიდინა, როდესაც მთელს საზოგადოებას დაუმტკიცეს, რომ ქვეყანას ეს კურსი უნდა აერჩია! ამიტომ, ეს ყველაფერი მეევრად უფრო ძვირფასია, ეს არის ჩვენი უახლესი წარსულის უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი და მას ასე მარტივად ნუ მოვეკიდებით! ვიღაცამ რაღაც თქვა, თუნდაც ძალიან მაღალი რანგის თანამდებობის პირმა და ეს ნიშნავს, რომ ქვეყანამ გადაუხვია კურსიდან, არა, ბატონო! საქართველოს არსად გადაუხვევია და ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ასეთი რამ მოხდეს!

– მესმის, ამბობთ, რომ ერთი პოლიტიკოსი ვერ შეცვლის ქართველი ხალხის არჩევანს...

– ვერც პოლიტიკოსების მთელი ჯგუფი!

– მაგრამ ეს პოლიტიკოსები იღებენ კონკრეტულ გადაწყვეტილებებს...

– დემოკრატიული პროცესი არის მუდმივი თვითწვრთნა, მუდმივი სწავლა. ასეთ პროცესებში იწრთობა საზოგადოება. მან უნდა დაინახოს, სად არის თეთრი და შავი, ვინ არის მტერი და ვინ – მოყვარე, ვისი აზრია გასათვალისწინებელი და ვისი – არა. ამიტომაც არის ეს სისტემა ასე აწყობილი, რომ ყველაფერი ბოლოს თავს იყრის არჩევნებზე, სადაც გაწეული სამსახურის, გაკეთებულის თუ გაუკეთებლის შეფასების საფუძველზე უნდა დაუსვან დიაგნოზი ამომრჩევლებმა პოლიტიკოსებს. ეს პროცესი უნდა იყოს მშვიდობიანი, რომ საქმე კვლავ სამოქალაქო ომამდე არ მივიდეს! ეს არის ჩვენი ამოცანა. თქვენ გულისტკივილს გამოხატავთ, რომ ადამიანები, მათ შორის, ისეთები, ვინც გადაწყვეტილებებს იღებენ, უღირსნი არიან. ის ხომ ციდან არ ჩამოფრენილა? მას ხომ ჩვენ მივეცით ხმა? უბრალოდ, ჭკუა უნდა ვისწავლოთ და როდესაც მომენტი დადგება, სწორი გადაწყვეტილება მივიღოთ.

– ანუ, იმედს იტოვებთ, რომ ასე ვთქვათ, უღირს ქცევებს, თავად საზოგადოება გასცემს პასუხს...

– დარწმუნებული ვარ! სხვაგვარად, ჩვენს საუბარს აზრი არ ექნებოდა. გესაუბრებით როგორც რიგითი მოქალაქე. ცოტა უფრო ადრე გავჩნდი, მეტი ცხოვრებისეული გზა გავიარე, რამაც მეტი გამოცდილება შემძინა და აქედან გამომდინარე მოგახსენებთ საკუთარ აზრს. ყოველი ღამე თენდება, ვფიქრობ, ყველამ ოპტიმისტურად უნდა შეხედოს მომავალს. საქართველო მომხდურ მტერს არაერთხელ აუოხრებია, მაგრამ დღეს ჩვენ ვართ და დასავლეთისკენ გზას ვაშენებთ. ეს მშენებლობა არ იქნება უმტკივნეულო და მარტივი. შესაძლოა, უამრავი ტკივილი შეგვხვდეს, მაგრამ ამისთვის მზად უნდა ვიყოთ. თუ ყველა ტკივილზე დავიწყეთ წუწუნი, საბოლოო მიზნამდე ვერ მივაღწევთ. მესმის, რომ ეს ყველაფერი ძალიან პათეტიკურად ჟღერს, მაგრამ სულაც არ ვარ ამგვარ განწყობაზე. სრულიად გულწრფელად მოგახსენებთ იმას, რასაც ვფიქრობ იმ გამოცდილებით, რომელიც ცხოვრებაში დამიგროვდა.

– თქვენ გაიხსენეთ 90-იანი წლები...

– დიახ, როდესაც დასავლეთისკენ დავიწყეთ სვლა.

– იმ უმძიმეს წლებში ქვეყანამ სწორედ რომ დასავლელი დონორების მხარდაჭერით დაიწყო ფეხზე დადგომა...

– დიახ, აბსოლუტურად სწორს ბრძანებთ.

– ყველა მიმართულებით იდებოდა უზარმაზარი ძალისხმევა და იგივე გრძელდება დღემდე – მსხვილი პროექტებით სარგებლობს თითქმის ყველა სახელმწიფო ინსტიტუტი, მათ შორის, ძალოვანი. თუმცა მედიას და ორგანიზაციებს, რომლებიც მათთან თანამშრომლობენ, ზემოთ ხსენებული კანონპროექტით უნდა უწოდონ „უცხოური გავლენის აგენტები“. ეს მსუბუქად რომ ვთქვათ, პარტნიორების შეურაცხყოფა, უმადურობა არ არის? არაფერს ვამბობ შესაძლო შედეგებზე.

– სიტყვა აგენტი არ მოგვწონს ჩვენ, რადგან ყველანი ვართ ასე ვთქვათ, საბჭოთა ნიადაგზე აღმოცენებულნი. დასავლეთში ეს არ იწვევს ამგვარ აღქმას. აგენტი წარმომადგენელს ნიშნავს.

– ამ შემთხვევაში „აგენტზე“ არ ვამახვილებ ყურადღებას, იყოს თუნდაც პირი, ან მოვძებნოთ სხვა ნებისმიერი სიტყვა, ამას ხომ არ აქვს არსებითი მნიშვნელობა?! იგივე ორგანიზაციები ეხმარებიან სახელმწიფო ინსტიტუტებს...

– ამსოლუტურად. მათ მიმართ ჩვენ მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის.

– მაშ ეს „ღია ცეცხლი“ რატომ გვაქვს გახსნილი?

– ამას მე რატომ მეკითხებით?

– მაინტერესებს გამოცდილი ადამიანის რაციონალური დაკვირვება...

– გამოცდილებით ამის დანახვა ფუჭი მცდელობაა. საიდან უნდა ვიცოდე, რას ფიქრობს ის, რომელმაც დოკუმენტი შექმნა და პარლამენტში შეიტანა. იმიტომაც ხდება განხილვები, რომ ადამიანმა პასუხი გასცეს კითხვებს. ჩვენ უნდა გვქონდეს კულტურა, რომ მას შეურაცხყოფა არ მივაყენოთ, ვიდრე საბოლოო დასკვნები არ გაკეთდება და მეორე – როგორმე ისე მოვაწყოთ განხილვა, რომ არ გადაიზარდოს ალიაქოთში. დანარჩენი პროცედურის საკითხია, რომლის გამართვა და წარმართვაც უნდა შევძლოთ. ეს დემოკრატიული პროცესის განუყოფელი ნაწილია. თუ პროცედურის გამართვას შევძლებთ, შედეგსაც მივიღებთ, მივიღებთ პასუხებს და გვექნება საფუძველი კრიტიკისაც. თუ ყველა კითხვას გინებას დაამატებ, მივიღებთ იმას, რამაც ძალიან შეგვაშფოთა და მადლობა ღმერთს, რომ შეგვაშფოთა. უარესი იქნებოდა, რომ საზოგადოებას არ ჰქონოდა რეაქცია. თუ ასე გაგრძელდა, რთული სათქმელი იქნება, საით წავალთ. ასე არ უნდა გაგრძელდეს. როდესაც შეცდომას დავუშვებთ, უნდა გამოვასწოროთ, ანუ ჭკუა უნდა ვისწავლოთ. ამის იმედი მაქვს.

– მთავარია, ეს გამოსწორებადი შეცდომა იყოს და არა სტრატეგია...

– გეთანხმებით.

– და ბევრი შიშობს, რომ ეს რეალურად სტრატეგიაა და არა შეცდომა...

– ნუ, ბევრი ადამიანი ეჭვს შეუპყრია. ვფიქრობ, ამ ეჭვს უნდა შეეშვან, იაზროვნონ საღად და როგორც შევთანხმდით, ოპტიმიზმის განცდით.

„აქცენტი“

ევროკომისიის პრეზიდენტი ტრიბუნალის შექმნის მომხრეა

ევროკომისიის პრეზიდენტის განცხადებით, უახლოეს ხანში შეიქმნება საერთაშორისო ცენტრი, რომელიც რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის სამართლებრივ დევნას უზრუნველყოფს. ამის შესახებ ნათქვამია ურსულა ფონ დერ ლაიენის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

როგორც ევროკომისიის პრეზიდენტი ამბობს, ევროკავშირი მიიჩნევს, რომ აუცილებელია სპეციალური ტრიბუნალის შექმნა, რომელიც რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიის დროს ჩადენილ დანაშაულებში ბრალდებულების გასამართლებას უზრუნველყოფს.

ამასთან, ურსულა ფონ დერ ლაიენის თქმით, საერთაშორისო ცენტრის დაფუძნების შესახებ შეთანხმება ლვოვში მიმდინარე კონფერენციაზე გაფორმდება.

„ჩვენ უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, რათა დამნაშავეები დაისაჯონ. ევროკავშირი გააგრძელებს მუშაობას ჩვენს პარტნიორებთან, რომ რუსეთმა საფასური გადაიხადოს“, – განაცხადა ურსულა ფონ დერ ლაიენმა.

გერმანელები უკრაინაში ტანკების ქარხანას ააშენებენ

გერმანული კონცერნი მზად არის, უკრაინის ტერიტორიაზე ტანკების ქარხანა ააშენოს. საუბარია გერმანულ მანქანათმშენებელ კონცერნ Rheinmetall-ზე. კონცერნის ხელმძღვანელის, არმინ პაპერგერის თქმით, კონცერნი მზადყოფნას გამოთქვამს, უკრაინაში ქარხანა ააშენოს, რომელიც წელიწადში 400 Panther-ის ტიპის საბრძოლო ტანკს გამოუშვებს.

მისივე თქმით, ქარხნის მშენებლობა 200 მილიონი ევრო დაჯდება, ხოლო მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფა ადვილადაა შესაძლებელი ანტისარაკეტო თავდაცვითი სისტემებით.

„დასავლელი მოკავშირეები უკრაინას საკმარისი რაოდენობით შეიარაღებას აწვდიან, რომ უკრაინამ თავდაცვა შეძლოს, მაგრამ ტერიტორიების სრულად დაბრუნებისთვის აუცილებელი ტექნიკა დღეს უკრაინას არ აქვს“, – ამბობს კონცერნის ხელმძღვანელი.

მისივე მოსაზრებით, უკრაინას რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების დასაბრუნებლად რამდენიმე წელი დასჭირდება და აუცილებელია, სამხედრო ტექნიკის წარმოება უკრაინაში დაიწყოს. პაპერგერის თქმით, უკრაინის შეიარაღებულ ძალებს გამარჯვებისთვის 600-დან 800 ტანკამდე დასჭირდება. როგორც გერმანული კონცერნის ხელმძღვანელი აცხადებს, უკრაინის მთავრობასთან მოლაპარაკებები იმედის მომცემი იყო და უკრაინაში ტანკების ქარხნის მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილება უახლოეს 2 თვეში უნდა იყოს მიღებული.

ნატოს მაღალჩინოსანმა 200 000 რუსი „განეიტრა“



ევროპაში ნატოს გაერთიანებული ძალების მეთაური აცხადებს, რომ უკრაინაში 200 000 რუსი სამხედრო და 1 800 ოფიცერია მოკლული. ამის შესახებ განცხადება კრისტოფერ კავოლიმ ჰამბურგში სიტყვით გამოსვლისას გააკეთა.

მისივე თქმით, რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ წამოწყებული ომი წარმოუდენელი მასშტაბებისაა. კავოლის განცხადებით, რუსეთმა უკვე დაკარგა 2000 ტანკი და რუსეთის არმია ყოველდღიურად საშუალოდ 23 000 საარტილერიო ჭურვს ხარჯავს. კავოლი მიიჩნევს, რომ რუსეთის უკრაინაზე თავდასხმის შემდეგ ნატო ახალ რეალობასთან უნდა ადაპტირდეს.

„ვინმე თუ მოდის ტანკებით, თქვენ ასევე უნდა გქონდეთ ტანკი, თუმცა ცივი ომის ერთ-ერთი გაკვეთილი უკავშირდება იარაღის სიზუსტეს. ეს არის, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ამას გარდა, მნიშვნელოვანია სამხედრო წარმოების სიმძლავრე. ომს ის იგებს, ვინც უფრო სწრაფად აწარმოებს იარაღს“, – განაცხადა კავოლიმ.

ვიქტორია ჩაპლინსკაია – 40 წელი მუსიკის სამყაროში



რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში გაიმართა ვიქტორია ჩაპლინსკაიას შემოქმედებითი საღამო, რომელსაც უძღვებოდა მუსიკათმცოდნე ნია ბახტაძე. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო, რომ ვიქტორია ჩაპლინსკაიამ წარჩინებით დაამთავრა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის საფორტეპიანო ფაკულტეტი, პროფესორების თენგიზ ამირეჯიბის და ტატიანა დუნენკოს კლასი, 1983 წელს კი ასევე წარჩინებით დაასრულა სანკტ-პეტერბურგის კონსერვატორიის ასპირანტურა.

1983 წელს ვიქტორია ჩაპლინსკაია თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში კონცერტმაისტერად მიიწვია დირიჟორმა ჯანსუღ კახიძემ. იგი თანამშრომლობდა გამოჩენილ მომღერლებთან: **ზურაბ ანჯაფარიძესთან, ცისანა ტატიშვილთან, თამაზ ლაფერაშვილთან, პაატა ბურჭულაძესთან** და სხვებთან. ჯანსუღ კახიძის ხელძღვანელობით ის ინტენსიურად მუშაობდა მრავალ საოპერო პროექტზე დიდ ქართველ კომპოზიტორებთან: **გია ყანჩელთან, ბიძინა კვერნაძესთან, ოთარ თაქთაქიშვილთან, სულხან ნასიძესთან.**

ისეთ ცნობილ რეჟისორებთან თანამშრომლობამ, როგორებიც გახლდათ **რობერტ სტურუა, გიზო ჟორდანია, მიხეილ თუმანიშვილი, გურამ მელივა, გიგა ლორთქიფანიძე,** დიდი კვალი დატოვა ვიქტორია ჩაპლინსკაიას როგორც გამორჩეულ მუსიკოსად, ისე საოპერო კონცერტმაისტერად ჩამოყალიბებაში.

საკონცერტო პროგრამა თავად იუბილარის მიერ იყო შედგენილი. პირველ ნომრად შესრულდა დიმიტრი არაყიშვილის ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“: აბდულ არაბის კავატინა, ზურაბ ანჯაფარიძის შესრულებით.

ულამაზესი დუეტით წარსდგნენ მუსიკალური საზოგადოების წინაშე **ქეთი სვანიძე** და **მარიამ გაგნიძე.**

სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ოპერის წამყვანი სოლისტები: **არმაზ დარაშვილი, ირინა ალექსიძე, ელენე ჯანჯალია.** სპეციალურად ამ დღისთვის გახლდათ ჩამოსული გამოჩენილი ქართველი საოპერო მომღერალი **გიორგი გაგნიძე,** რომელმაც სამი არია შეასრულა. მათ შორის, კახა ცაბაძის „დღესაც არ ვიცი“... გიორგი გაგნიძემ მადლობა გადაუხადა ქალბატონ ვიქტორიას და თქვა, რომ განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის მის პროფესიონალ მომღერლად ჩამოყალიბებაში, ის გახლავთ გიორგი გაგნიძის მუდმივი კონცერტმაისტერი და მრჩეველი.

ქალბატონი ვიქტორია მამით პოლონელი და დედით უკრაინელი გახლავთ. იგი თბილისში დაიბადა დედაენის დღეს 14 აპრილს და როგორც ბატონი ბიძინა კვერნაძე ამბობდა, მისნაირი გამართული ქართულით ვერც ერთი პიანისტი ვერ მეტყველებდა. ნია ბახტაძემ სცენაზე მოიწვია ზურაბ ანჯაფარიძის საერთაშორისო ფონდის დამფუძნებელი, სახელმწიფო პრემიების ორგზის ლაურეატი **გურამ ქაშაკაშვილი,** კაცი – ცოცხალი ლეგენდა, კაცი – ქართული მეტალურგიის პატრიარქი, კაცი – დიდი ეროვნული მოღვაწე... მან ისაუბრა ამ ფონდის დაარსების შესახებ და ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის ლაურეატის დიპლომით დააჯილდოვა იუბილარი.

საკონცერტო პროგრამაში მონაწილეობდნენ ახალგაზრდა პიანისტები და მომღერლები: **ნათია ქავთარაძე, თამარ ლიჩელი, ლევან ტამბატაძე, იამზე ჯაყელი, მარიამ ფირცხალაიშვილი, გიგა ამეისაძე, გიორგი გოდერძიშვილი** და სხვები.

ცნობილმა მევიოლინემ **ქეთევან თავშავაძემ** იუბილართან ერთად შეასრულა მ. დავითაშვილის „პოემა“. კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარემ **გოგი შავერდაშვილმა** ვიქტორია ჩაპლინსკაიას გადასცა მადლობის სიგელი მუსიკის სამსახურში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის. თითოეულ საკონცერტო ნომერს ხანგრძლივი აპლოდისმენტებით აჯილდოებდა მსმენელი. შემოქმედებითი საღამოს დასასრულს ზღვა ყვავილებში ჩაფლულმა იუბილარმა გულწრფელი მადლობა გადაუხადა მისი ნიჭის თაყვანისმცემელ საზოგადოებას...

ნანა ჟიჟინაძე,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

მოწვევა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო

აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის (ხევი-უბისას მონაკვეთი) გაუმჯობესების პროექტი

სესხის № 3715-GEO

დავალების სახელწოდება: საგზაო უსაფრთხოების ადგილობრივი კონსულტანტი (საგზაო უსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების პროგრამა გენდერული თავისებურების გათვალისწინებით)

საიდენტიფიკაციო № KUPR/CS/CQS-01

საქართველომ აზიის განვითარების ბანკისგან მიიღო დაფინანსება **აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის (ხევი-უბისას მონაკვეთი) გაუმჯობესების პროექტის** განხორციელებისთვის. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად.

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო კომპანიებს/ორგანიზაციებს (კონსულტანტებს) ინტერესის გამოსახატად შემდეგი მომსახურების გასაწევად: **საგზაო უსაფრთხოების ადგილობრივი კონსულტანტი (საგზაო უსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების პროგრამა გენდერული თავისებურების გათვალისწინებით).**

დავალების მიზანი: **კონსულტანტი პასუხისმგებელი იქნება რომ დაგეგმოს და განახორციელოს საბაზისო კვლევა/ები, საგზაო უსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების პროგრამები და განსაზღვროს მასთან დაკავშირებული ინფორმატიული მასალების, შეფასებისა და მონიტორინგის ინსტრუმენტები, იმ თემისთვის რომელიც მოქცეულია აზიის განვითარების ბანკის მიერ დაფინანსებული აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის (ხევი - უბისას მონაკვეთი) გაუმჯობესების და აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის (შორაპანი - არგვეთას მონაკვეთი) გაუმჯობესების პროექტების ფარგლებში.**

საკვალიფიკაციო მოთხოვნები: **საკონსულტაციო კომპანიას/ორგანიზაციას უნდა ქონდეს შემდგომი კვალიფიკაცია:**

- სასურველია 5 წლიანი მსგავსი გამოცდილება საგზაო უსაფრთხოების ცნობიერების ამაღლებისა და შესაძლებლობების განვითარების კამპანიების ჩატარებაში ცალკეული თემების დონეზე;
- მინიმუმ 5 წლიანი მსგავსი გამოცდილება სოციალურ - ეკონომიკური კვლევების ველზე ჩატარებაში, სასურველია ტრანსპორტის სექტორში;

მასალებისა და ანგარიშების გამოქვეყნების დადასტურებული გამოცდილება ;

- შესაბამისი პერსონალის, მატერიალური ბაზის და ინსტრუმენტების ხელმისაწვდომობა კვლევების, ტრენინგებისა და ცნობიერების ამაღლების კამპანიების განსახორციელებლად;
- სპეციალიზირებული გამოცდილება კვლევის მონაცემთა ანალიზში, იმ თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით, რომლებიც ამ კვლევაში იქნება გამოყენებული, კერძოდ: გამოკითხვები, სიღრმისეული ინტერვიუები და ფოკუს ჯგუფები, და
- განხორციელებული საქმიანობის შესახებ დეტალური ანგარიშების მომზადების გამოცდილება.

დავალების ხანგრძლივობა შეადგენს 12 თვეს.

შერჩევა განხორციელდება კონსულტანტის კვალიფიკაციის საფუძველზე შერჩევის მეთოდის გამოყენებით აზიის განვითარების ბანკის შესყიდვების რეგულაციების თანახმად, რომელიც განთავსებულია ვებ-გვერდზე: https://www.adb.org/sites/default/files/procurement-regulations-adb-borrowers.pdf

ინტერესის გამოხატვა წარმოდგენილი უნდა იქნას ინგლისურ ენაზე აზიის განვითარების ბანკის ვებ-გვერდის გამოყენებით: **https://selfservice.adb.org/OA_HTML/adb/xxcrs/jsp/ADBCsrnFwd.jsp?sel=186414**

დაინტერესებულ პირებს ინტერესის გამოხატვა შეუძლიათ მოცემული ბმულის მეშვეობით **2023 წლის 1 აპრილამდე.**

REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST

Georgia

East-West Highway (Khevi-Ubisa Section) Improvement Project

Project Loan. 3715-GEO

Name of the Assignment: National Road Safety Consultant (Gender Sensitive Roads Safety Awareness Program)

Contract/RFP No: KUPR/CS/CQS-01

Georgia has received financing from Asian Development Bank (ADB) toward the cost of the **East-West Highway (Khevi-Ubisa Section) Improvement Project** and intends to apply part of the proceeds of this loan to procure goods, civil works and consulting services under the Project.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible consulting companies/organizations (here and after “Consultants”) to express their interest in providing the following services: **National Road Safety Consultant (Gender Sensitive Roads Safety Awareness Program).**

The objective of the assignment: The Consultant will be responsible for the development and conduct of the baseline study/ies, awareness raising programs, information materials, assessment, and monitoring tools related to the community road safety awareness raising program/s for the communities under the ADB financed East-West Highway (Khevi-Ubisa Section) Improvement Project and East-West Highway (Shorapani-Argveta Road) Improvement Project.

Qualification Requirements: Consulting Organization/Firm having the below listed qualification are encouraged to participate:

- preferably with 5 years of relevant experience in conducting road safety awareness raising and capacity building campaigns on community level;
- minimum of 5 years of relevant practical field experience in conducting socio-economic surveys, preferably in transport sector;
- demonstrated capacity in publishing materials and reports;
- availability of relevant personnel, facilities and tools to carry out the research, capacity building, trainings and awareness raising campaigns;
- highly specialized expertise in application and data analysis of the qualitative and quantitative methods that will be included in this research, namely: surveys, in-depth interviews and focus group discussions; and
- experience of developing detailed reports on implemented activities.

Duration of the assignment is 12 months.

Selection will be done according to the recruitment of consultant qualification method provided in Procurement Regulations for ADB Borrowers (available at https://www.adb.org/sites/default/files/procurement-regulations-adb-borrowers.pdf)

Expressions of Interest (EOIs) will be submitted in the English language by means of the ADB web-page: **https://selfservice.adb.org/OA_HTML/adb/xxcrs/jsp/ADBCsrnFwd.jsp?sel=186414**

Interested individuals shall follow the link to participate in the selection not later than **April 01, 2023.**

◎ ლეგიონერები

ასეც ხდება



ჩვენთვის საამაყოდ დასრულებული მსოფლიო საკალათბურთო ჩემპიონატის შესარჩევი რაუნდის შემდეგ ფიბა-მ ნომინაციების მიხედვით საუკეთესონი დაასახელა და სავსებით ლოგიკურია, მათ შორის საქართველოს ეროვნული ნაკრების სამი მოთამაშე – **გიორგი შერმადინი, თად მაკფადენი** და **კახა პინჭარაძე** რომ მოხვდნენ, მაგრამ ძნელი ასახსნელია, თუ რატომ არ ხვდა მსგავსი პატივი თორნიკე შენგელიას.

რა გაეწყობა – ჯვაროსანთა კაპიტანი ხომ როგორც სამშობლოში, რომლის გულმხურვალე პატრიოტიცაა, ისე მის მიღმა, მიჩვეულია დაუმსახურებელ წკიპურტებს, რასაც ღირსეულად პასუხობს, უპირველესად – პარკეტზე.

ამჯერად მან ჩვეულნორმიანი პირადი მონაგარი – 10 ქულა და 5-5 მოხსნა-პასი ვირტუსის მიერ თურქეთში ფენერბახჩესთან ევროლიგაში წაგებულ შეხვედრაში მოაგროვა – 72:104.

იტალიური კლუბი 12 მოგებითა და 14 დამარცხებით სატურნირო ცხრილის მე-12 პოზიციას იკავებს, 27-ე ტურში კი ბოლონიაში ბაიერნს მიიღებს.

საინტერესო სიახლეა ნბა-დან. როგორც უკვე გაუწყეთ, ინდიანასთან კონტრაქტის გაწყვეტის შემდეგ გოგა ბითაძე ორლანდოში დაბინავდა. და აი, ახალ საგუდარს მილუოკიდან დათხოვნილმა **სანდრო მამუკელაშვილმაც** მიაგნო, რომელმაც ბაქსში 2021 წლიდან 65 მატჩი ჩაატარა. ამიერიდან იგი კარიერას ნბა-ს ერთ-ერთ ყველაზე ტიტულოვან კლუბში – სან ანტონიო სფურზში გააგრძელებს.

სადებიუტო შეხვედრა ტეხასელთა ახალწვეულმა შინ ჰიუსტონთან 110:122 წაგებულ შეხვედრაში 16 წუთში მოგროვებული 6 ქულითა და 2 მოხსნით აღნიშნა. სხვათა შორის, მან ორივე სამქულიანი ჩააგდო.

დღეს გრეგ პოპოვიჩის გუნდი, რომელიც დასავლეთ კონფერენციაში ბოლოსწინა – მე-14 ადგილზეა, იმავე მეტოქეს უკვე სტუმრად დაუპირისპირდება.

◎ ყინულზე

გურგენიძის ლიცენზია

კანადის ქალაქ კალგარიში მიმდინარე ფიგურული ციგურაობის იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატზე ინგა გურგენიძემ მე-9 ადგილი დაიკავა და საქართველოს 2024 წლის ოლიმპიური თამაშების ლიცენზია მოუტანა.თავისუფალ პროგრამაში ქართველმა მოციგურავემ 7 ნახტომითი ელემენტი შეასრულა, მათ შორის კი იყო ურთულესი ტექნიკური ელემენტი სამნახევარი აქსელი, რომელიც ინგამ ორჯერ გამოიყენა თავის პროგრამაში – ერთი სოლო ნახტომის სახით და მეორე – კომბინაციაში.

გურგენიძის სრიალი თავისუფალ პროგრამაში ძალიან ღირსეული იყო და რომ არა მოკლე პროგრამაში ამავე სამნახევარ აქსელზე დაშვებული შეცდომა, ქართველი სპორტსმენი საუკეთესო სამეულშიც აღმოჩნდებოდა.

საბოლოოდ, თავისუფალ პროგრამაში ინგა გურგენიძემ 120.48 ქულით მე-7, ხოლო ორი პროგრამის ჯამში, 172.5 ქულით საუკეთესო ათეულში მე-9 ადგილი დაიკავა. ამ შედეგით, ქართველმა მომავალი წლის იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატზე 2 ადგილი და 2024 წლის ზამთრის ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებზე ჩვენს ქვეყანას ლიცენზია მოუტანა გოგონების კატეგორიაში. გარდა ამისა, მან მსოფლიოს 2023 წლის საერთო რეიტინგულ გუნდურ ჩათვლაში საქართველოს 215 ქულა შესძინა.

საქართველოს ნაკრების მხრიდან მოკლე პროგრამაში კონსტანტინე სუპატაშვილმაც იასპარეზა, რომელმაც 58,97 ქულით 24 საუკეთესო სპორტსმენში მოიპოვა ადგილი და თავისუფალ პროგრამაში მიიღებს მონაწილეობას.

კალგარის იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების ღირსებას გრეის ელიზაბეტ ვეინიკი და ეჰორ გარშაკიც დაიცავენ სპორტულ ცეკვებში.

◎ კორტზე

საბას დუბლი

ქართველმა ჩოგბურთელმა, საბა ფურცელაძემ ეგვიპტეში, შარმ ელ შეიხში დასრულებული ტურნირი წყვილთა თანრიგში სლოვაკ პარტნიორთან ერთად მოიგო.

ჰარდის საფარზე გამართულ 15 000-იან ტურნირზე საბა ფურცელაძემ და ლუკაშ პოკორნიმ 2 რაუნდი წარმატებით გაიარეს და ფინალში ლუქსემბურგელი ალექს კნაფისა და გერმანელი იაკობ შტაინერის წყვილი 2 სეტში, 6:3, 6:4 დაამარცხეს. 21 წლის ქართველმა ჩოგბურთელმა შარმ ელ შეიხის ტურნირი ზედიზედ მესამედ მოიგო, თუმცა ამჯერად წყვილთა თანრიგში, ხოლო გუშინ ერთეულებშიც გაიმარჯვა – ფინალში ბელგიელ ალექსანდერ ბლოქსს სძლია.

◎ აუზში

პირველიც, მეექვსეც...

ქართული საკლუბო წყალბურთის ფლაგმანმა – თბილისის დინამომ ნავსი გატეხა და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური რაუნდის მეცხრე ტურში ზედიზედ რვა მარცხის შემდეგ პირველი გამარჯვება გერმანიაში ვასპოსთან მოიპოვა – 10:8.

შეგახსენებთ, რომ იმავე მეტოქესთან პირველი წრის საშინაო მატჩი 11:14 დავთმეთ, ხოლო ამჯერად 4:8-ის შემდეგ ზედიზედ 6 ბურთი გავუტანეთ და რევანში ავიღეთ. დავძენთ, რომ ყველაზე პრესტიჟულ ევროტურნირში ოთხწლიანი თამაშის განმავლობაში ჩვენმა გუნდმა მე-6 გრძოლა მოიგო.

◎ ტატამზე

ეთერის ვერცხლი

ტაშკენტის გრანდ სლემის სტარტზე ეთერ ლიპარტელიანმა ვერცხლი მოიპოვა და საქართველოს პირველი მედალი მოუტანა.

57 კგ წონით კატეგორიაში ქართველმა ძიუდოისტმა ფინალამდე უზბეკი შუკურჯონ ამინოვა, ბრაზილიელი ჯესიკა ლიმა და ტაიპეის წარმომადგენელი ჩენ-ლინ ლიენი დაამარცხა. ეთერი ფინალში იაპონელ მომო ტამაოკის შეეგა, მაგრამ იპონით წააგო.

◎ მეტოქე

ახალი თავკაცით

როგორც მოგეხსენებათ, წლეულს საფრანგეთში გასამართავი სარაგბო მსოფლიო თასის ჯგუფურ რაუნდში ბორჯღალოსანთა ერთ-ერთი მეტოქის – ფიჯის ნაკრების ახალზელანდიელი მთავარი მწვრთნელი ვერნ კოტერი ერთი თვით წინათ თანამდებობიდან გადადგა.

კუნძულელები თავიდან მისივე თანამემამულის – სკოტ რობერტსონის მიწვევას ცდილობდნენ, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს. და აი, ამ დღეებში გავრცელებული ინფორმაცია – საერთაშორისო რეიტინგის მე-11 გუნდის მესაჭედ მისივე ყოფილი კაპიტანი **საიმონ რაივალუი** დაინიშნა, რომელიც ჯერ ავსტრალიის ნაკრებს შერკინებაში ავარჯიშებდა, ხოლო შემდეგ მშობლიური რაგბის კავშირის მაღალი მიღწევების მენეჯერად საქმიანობდა და ფრანგული რასინგის ერთ-ერთი მწვრთნელიც იყო.

გამოცდიდან გამოცდამდე

შარშან ღირსეულად ვუმასპინძლეთ ევრობასკეტს, გუშინ ასევე წარმატებით დავხურეთ ბაკურიანში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატი ფრისტაილში, სნოუბორდსა და ფრისკიში, 2025-ში იქვე ზამთრის ახალგაზრდული სპორტული ფესტივალის მონაწილენი გვეწვევიან, წლეულს ზაფხულში კი უახლოესი მასშტაბური ფორუმი – 21-წლამდელთა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატი გველის რუმინეთთან ერთად.

აღნიშნული ტურნირისა და შესარჩევი ციკლის სანაკრებო მატჩების გამო დასახელებულ პერიოდში კრისტალბეთ ეროვნულ ლიგაში ორთვიანი შესვენება გამოცხადდება, თუმცა შინაური ბატალიების ქომაგებს მოსაწყენად მაინც არ ეცლებათ, რადგან ახალი ფორმატით – 4 გუნდის მონაწილეობით პირველად გათამაშდება ქვეყნის სუპერთასი, სადაც მეტოქენი ასე დაწყვილდნენ: „დილა“ – „დინამო“, „ტორპედო“ – „ბათუმი“.

ზემოთ მოახლოებული უმნიშვნელოვანესი გამოცდა ვახსენეთ და, მოდით, გავეცნოთ, როგორ ვაპირებთ მის საკადრის დონეზე ჩაბარებას ინფრასტრუქტურული პროექტების თვალსაზრისით.

თბილისში დინამო არენაზე, მიხეილ მესხსა და მიხეილ მესხი–2-ზე სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს. ევრო – 2023-ისთვის ასევე სრულ მზადყოფნაში იქნება პეტრო არენა და ეროვნული ნაკრების ტექნიკური ცენტრი ბასა – ყველგან იცვლება მინდვრის საფარი.

ქუთაისში დასასრულს უახლოვდება რამაზ შენგელიას არენის რეკონსტრუქცია, სადაც საფარის დაგებამდე ადმინისტრაციული კორპუსი დაანგრიეს და თავიდან ააშენეს. როგორც მოგეხსენებათ, იქ განთავსებულია გასახდელები, აგრეთვე სამსაჯო და სხვა ოთახები.

◎ ღირსების პროექტი

გარდა ამისა, რიონისპირა ქალაქში ამოქმედდება ფეხბურთის ფედერაციის აკადემია, სადაც ოთხ მოედანს დააგებენ. კომპლექსის მშენებლობა ევროპის ჩემპიონატის გახსნამდე დასრულდება. პარალელურად, იმავე დროისთვის ახალი ტექნიკური ცენტრი დაამშვენებს წყალტუბოსაც, სადაც 26 მაისის სტადიონზე საფარი უკვე შეცვალეს.

ბათუმში ლეონიძის ქუჩაზე ერთმანეთის სიახლოვეს ორი ტექნიკური ცენტრის პროექტი ხორციელდება და აჭარის მთავარ ქალაქს ორი ახალი მოედანი შეემატება, ხოლო მესამე ცენტრი ქობულეთში, რუსთაველის ქუჩაზე გაიხსნება.

იქვე უკვე დამტკიცებულია ჩელე არენის განახლების პროექტი, რომლის ხორცშესხმის ზუსტი ვადა, მართალია, ჯერ უცნობია, მაგრამ ცნობილია ჩანაფიქრი – ზღვისპირეთში თანამედროვე, ევროპული სტანდარტების შესაბამისი ორი სარბიელი უნდა იწონებდეს თავს. მშენებლობის იდეა ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას ეკუთვნის, პროექტს კი რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო მიიყვანს ბოლომდე.

ნააზრევის თანახმად, ჩელე არენას დაანგრევენ და მის ადგილას წმინდა საფეხბურთო სტადიონს წამოჭიმავენ, რომელიც 8 ათას მაყურებელს დაიტევს და ბათუმის აჭარაბეთ არენის ანალოგი იქნება, ხოლო მანამდე ადგილობრივ შუქურას რუსთაველის ქუჩაზე მშენებარე ტექნიკური ცენტრი მოემსახურება.

ბუნებრივია, მოახლოებული ცხელი საფეხბურთო ზაფხული და ხვიჩა კვარაცხელია განუყრელი მცნებებია. მართალია, ჯერ არაა გადაწყვეტილი, იგი ეროვნული ნაკრების ღირსებას დაიცავს საკვალიფიკაციო შეხვედრებში თუ თანატოლთა გუნდისას ევრო – 2023-ზე, რადგან მათი ვადები ერთმანეთს ემთხვევა, მაგრამ ნაპოლისთვის შეუცვლელი ფიგურა რომაა, ფაქტია.

ორ ფრონტზე წარმატებით მებრძოლი კამპანიელები ცალი ფეხით პირველად ისტორიაში უკვე ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში არიან, სერია – ა-ს კი იმხელა უპირატესობით ლიდერობენ, რომ ალბათ დღესვე იმსახურებენ სკუდეტოს მფლობელად შერაცხვას, ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ხანდახან თავს მოდუნების ფუფუნებას აძლევენ და კოჭებს უფრთხილდებიან – წინ ხომ სეზონის დასკვნითი ნაწილია.

25-ე ტური. ნაპოლი – ლაციო 0:1.

მასპინძელთა ყოფილი თავკაცის – მაურიციო სარის შეგირდებმა მარადონას სტადიონზე მეტოქეს პირველი წლევანდელი მარცხი დაცვაში ჩასული ხვიჩას უნებლიე შეცდომით აგემეს, ხოლო მალევე ოსიმენის თავური დარტყმის შემდეგ ბურთი ძელს მოხვდა. ასისტენტი კვარა იყო.

ჯუანშერ ბურჭულაძე: ყველაზე თვალსაჩინო პროექტი ჯარისკაცების ბინებით უზრუნველყოფაა

პარისკაცების ბინებით უზრუნველყოფა მახათას მთაზე პრემიერ-მინისტრის თავდაცვის მინისტრობის პერიოდში დაიწყო. ბინები ათასზე მეტ სამხედროს გადაეცემა. დავასრულეთ ტერიტორიის მოპირკეთება და ვფიქრობთ, ჩვენ მიმდინარე წლის გაზაფხულზე გადავცემთ სამხედროებს ბინებს“, – განაცხადა თავდაცვის მინისტრმა ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში სტუმრობისას.

„უნდა აღინიშნოს დაკანონების პროექტი, რომელიც წლების განმავლობაში გადაუჭრელი პრობლემა იყო. ჩვენ ეს პრობლემაც გადავჭერით – დაახლოებით 1500-მა მოქმედმა და ყოფილმა სამხედრო მოსამსახურემ დაიკანონა მათ მფლობელობაში არსებული ფაქტობრივი ფართები და რა თქმა უნდა, ესეც არის სოციალური დამოკიდებულების ნაწილი. შარშან ჩვენ 20%-ით გავუზარდეთ ანაზღაურება თითოეულ სამხედრო მოსამსახურეს. წელს იანვრიდან უკლებლივ ყველა სამხედრო მოსამსახურეს დამატებით, კიდევ 20%-ით გაეზარდა ანაზღაურება. ქვეყნის ეკონომიკა მოგვცემს საშუალებას, რომ გავაგრძელოთ ეს ტენდენცია და რა თქმა უნდა, ზრუნვას ჩვენ სამხედროებზე არ შევწყვეტთ“, – აღნიშნა თავდაცვის მინისტრმა.

იანვრის შედეგმა სკეპტიკოსები გააჩუმა!

ეკონომიკა შეუნელებელი ტემპით იზრდება

იანვრის ეკონომიკურმა ზრდამ სკეპტიკოსებს ცივი წყალი გადაასხა. შედეგი ორნიშნასთან მიახლოებულია. ადგილობრივმა ანალიტიკურმა ორგანიზაციებმა უკვე გააუმჯობესეს 2023 წლის წინასწარი პროგნოზი.

„საქსტატის“ წინასწარი შეფასებით, 2023 წლის იანვარში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდაპროდუქტის (მშპ) ზრდამ 8.4 პროცენტი შეადგინა. შესაბამისად, პირველივე თვის შედეგით გაქარწყლდა ვარაუდი იმის შესახებ, რომ 2023 წელს ეკონომიკური წინსვლა მკვეთრად შენელდებოდა და 3-4%-ს არ გასცდებოდა.

ამ ფონზე ახლა უკვე საინტერესოდ გამოიყურება საქართველოს ეკონომიკური ზრდის შესახებ კვლევები, რომლებსაც ადგილობრივი კვლევითი ორგანიზაციები გვთავაზობენ. კერძოდ, „თიბისი კაპიტალის“ მთავარი ეკონომისტი კვირის განახლებაში წერს, რომ 20-24 თებერვლის კვირაში გამოქვეყნებული მაკროეკონომიკური მაჩვენებლები ეკონომიკის ძლიერი ზრდის შენარჩუნებაზე მიუთითებს. შესაბამისად, „თიბისი კაპიტალმა“ 2023 წლის ეკონომიკის ზრდის მოლოდინი 5%-დან 6.4%-მდე გააუმჯობესა.

„სხვა ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების კუთხით, ინფლაციის ნორმალიზება კვლავ საბაზო სცენარია წლის ბოლოს დაახლოებით 3.8%-იანი პროგნოზით, რაც ძირითადად იმპორტული პროდუქციის ფასებით არის განპირობებული. ეს კი, მომდევნო 1 წლის განმავლობაში ლარის კურსისთვის პოზიტიურია და ამდენად, ძლიერი სავალუტო შემოდინებების არგუმენტის გათვალისწინებით, ლარის გაუფასურება მოსალოდნელი არაა“, – აღნიშნულია „თიბისი კაპიტალის“ მიმოხილვაში.

„გალტ ენდ თაგარტის“ შეფასებით კი, იანვარში 8,4%-იანი ეკონომიკური ზრდა ნიშნავს იმას, რომ წელი კარგად დაიწყო. თებერვლის ინდიკატორებზე დაყრდნობით ორგანიზაციის ეკონომისტმა **ლაშა ქავთარაძემ** აღნიშნა, რომ გაზრდილია ალბათობა პროცესები მათ მიერ პროგნოზირებული სცენარის მიხედვით წარიმართოს. 2023 წელს „გალტ ენდ თაგარტის“ ქვეყანაში საბაზო სცენარით 4,8%-იან ეკონომიკურ ზრდას მოელის. საინვესტიციო ბანკის ოპტიმისტური გათვლებით კი შესაძლოა, წელს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი 6%-ით გაიზარდოს.

იანვარში ნაჩვენებ კიდევ ერთ მნიშვნელოვან შედეგს დადებითად ეხმიანებიან ეკონომისტები. ექსპერტ **გიორგი ცუცქირიძის** განცხადებით, 2023 წლის იანვარში დადასტურებული მშპ-ის ზრდა არის სამთავრობო პოლიტიკისა და არჩეული სტრატეგიის შედეგი.

„პირველ რიგში, ეს არის სამთავრობო პოლიტიკის შედეგი. თითზე ჩამოსათვლელია ქვეყნები, რომლებსაც სამი წლის განმავლობაში ასეთი მაღალი ზრდა აქვთ. ზოგადად, ეს არის იმ სტრატეგიის შედეგი, რომელიც საქართველოს მთავრობამ აირჩია“, – განაცხადა ცუცქირიძემ.

2023 წლის იანვრის 8.4%-იანი მაჩვენებელი შეაფასა ეკონომიკის დოქტორმა **სოსო არჩვაძემაც**. მისი აზრით, უკვე შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ საქართველოს ეკონომიკას აქვს პოტენციალი, შეინარჩუნოს აღებული ტემპი.

„ზრდა მიღწეულია არა რომელიმე ცალკეული სეგმენტის ხარჯზე, არამედ კომპლექსურად, ფაქტობრივად, ეკონომიკის თითქმის ყველა დარგის საფუძველზე. ეს იძლევა საშუალებას, დავასკვნათ, რომ საქართველოს ეკონომიკას აქვს საკმაოდ დიდი პოტენციალი იმისათვის, რომ საშუალოვადიან პერსპექტივაში შეინარჩუნოს საკმაოდ მაღალი ზრდის მაჩვენებელი“, – აცხადებს არჩვაძე.

2023 წლის იანვარში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მშპ-ს ზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგებმა: მშენებლობა, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები, ტრანსპორტი და დასაწყობება, ვაჭრობა, ინფორმაცია და კომუნიკაცია, სასტუმროები და რესტორნები.

ბექა დანელია



თემურ ლაზარიაშვილი

75 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი ინჟინერ-კონსტრუქტორი თემურ ლაზარიაშვილი. ბატონმა თემურმა გაიარა მრავალმხრივ საინტერესო შრომითი გზა რიგითი ინჟინრიდან დაწყებული, ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებელი ტრესტის ტექნიკური განყოფილების უფროსის, თბილისის ზონალური სამეცნიერო-კვლევითი და ტიპური პროექტირების ინსტიტუტის („თბილზნიეპის“) პროექტების მთავარი კონსტრუქტორის, „თბილქალაქპროექტის“ №3 სახელოსნოს ხელმძღვანელისა და ამავე ინსტიტუტის მთავარი კონსტრუქტორის თანამდებობამდე.

მისი დაპროექტებულია მრავალი მნიშვნელოვანი ობიექტი, როგორც ქ. თბილისში, ისე მთელი საქართველოს მასშტაბით — ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებები, საცხოვრებელი კორპუსები, ოფისები სილნალში, ბათუმში, ქუთაისში, მუხრან ბატონის სასახლის რეკონსტრუქცია, რესტორანი „მარაბდა“, წმ. ექვთიმეს ტაძარი თბილისში და სხვ.

2009 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მშენებლის წოდება. იყო საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. ბატონ თემურის ხსოვნა მარად იქნება მის მეგობრებსა და კოლეგებში.

ვაჟა ნადირაშვილი, მერაბ ნიკოლაიშვილი, გენო ნიჭარაძე, გურამ დიდბარიძე, მალხაზ ბედიაშვილი.

საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა საინციკლოპედიო საგამომცემლო ფონდი.

ვაჟა, მიშა და ლევან ნადირაშვილები ოჯახებით იუწყებიან ოჯახის მეგობრის

თემურ ლაზარიაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

იყიდება საქართველო!

ბათუმში უძრავ ქონებას უცხოელები გამალებით ყიდულობენ!

საქართველოში უცხოელების მხრიდან ბინების შეძენა გააქტიურდა. უცხოელებისთვის განსაკუთრებულ ინტერესს ბათუმი წარმოადგენს, შემდეგ კი დედაქალაქი მოდის. მხოლოდ 2023 წლის იანვარში მოთხოვნა ახალაშენებულ პრემიუმ სეგმენტის ბინებზე ბათუმში 339%-ით გაიზარდა.

უძრავი ქონების ბაზარზე, ძირითადად, რუსეთის მოქალაქეები აქტიურობენ. მიუხედავად ამისა, რუსეთის მოქალაქეების მონაწილეობა ამ ტრანზაქციებში იმდენად სწრაფად არ იზრდება, რამდენადაც საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი რუსების რაოდენობა, ან თუნდაც რუსეთიდან მიღებული გზავნილების მოცულობა.

არარეზიდენტებს ქართულ საბანკო სისტემაში ნაკლებად მიუწვდებათ ხელი საკრედიტო პროდუქტებზე. შესაბამისად, მათი ალტერნატივა საკუთარი თანხით უძრავი ქონების შეძენა ან შიდა განვადებაა. ბათუმში მდებარე სამშენებლო პროექტების 88% სთავაზობს კლიენტებს შიდა განვადების სერვისს, რითაც ის ლიდერია სხვა ქალაქებთან შედარებით. ყველაზე გრძელვადიანი შიდა განვადების შეთავაზებაც ბათუმში დასტურდება (საშუალოდ დაახლოებით 3 წელი, ხოლო დანარჩენ ქალაქებში 2 წელი); ამავე კვლევის თანახმად დეველოპერული კომპანიების გაყიდვების პროცესი თითქმის არასდროს გრძელდება 4 წელზე მეტი ხნით, ხოლო გაყიდვების დაწყებიდან 2 წლის განმავლობაში საშუალოდ იყიდება სარეალიზაციო ფართის 66%. სწორედ ამით აიხსნება, რომ იპოთეკური სესხების ყველაზე დაბალი წილი დეველოპერული კომპანიების გაყიდვებში სწორედ ბათუმშია.

უძრავი ქონების სფეროს სპეციალისტი **მალხაზ კუნელაური** აცხადებს, რომ უცხოელებისგან საქართველოში ბინების შეძენის დაინტერესება აქამდეც არსებობდა, რაც ეკონომიკურმა სტაბილურობამ მოიტანა.

„უძრავი ქონების შეძენით დაინტერესება პირდაპირ პროპორციულად არის დაკავშირებული ქვეყნის მიმზიდველობასთან, განვითარებასთან, ნაკლებ კრიმინალთან, მიზნესის მარტივად კეთებასთან, ტურისტულ პოტენციალთან და ა.შ. ასე რომ, ქვეყნის განვითარების პარალელურად, უცხოელების მხრიდან ბინის შეძენის მოთხოვნაც გაჩნდა და იზრდება კიდეც. განსაკუთრებით ტურისტული რეგიონები იყო და არის მოთხოვნადი. ეს შეეხება შავი ზღვისპირეთს, კურორტებს და ასევე, ქალაქად არსებულ მშენებარე ობიექტებსაც. თუ დავაკვირდებით, ყველა იმ ლოკაციაზე გაიზრდა მოთხოვნა, რომელი ქალაქიც და ადგილიც ჩაერთო განვითარებაში.



ახლა გარე ფაქტორის აუცილებლობა იწვევს უძრავი ქონების შეძენაზე მოთხოვნის ზრდას. ამჟამინდელი ვითარება საქართველოს უძრავი ქონების ბაზრისთვის არაბუნებრივი მდგომარეობაა“, – განაცხადა მალხაზ კუნელაურმა.

კომპანია „ქოლიერსის“ ცნობით, 2023 წლის იანვარში ბათუმში საცხოვრებელი ბინების ტრანზაქციების რაოდენობა გასული წლის იანვართან შედარებით – 75%-ით, 1330 ერთეულამდე გაიზარდა, ბაზრის მოცულობა კი 98%-ით არის გაზრდილი და 58 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

„ბათუმში 2023 წლის იანვარში ახალაშენებული ბინების ტრანზაქციების რაოდენობა 76%-ით გაიზარდა, ძველი ბინების შემთხვევაში კი 72%-იანი მატება დადასტურდა. ბათუმში 2023 წლის იანვარში მოთხოვნა ახალაშენებულ პრემიუმ სეგმენტის ბინებზე, მნიშვნელოვნად – 339%-ით გაიზარდა, ეკონომ და მედიუმ სეგმენტებში კი მოთხოვნის 39% და 68%-იანი მატება დადასტურდა, რამაც 579 და 296 ერთეული შეადგინა. ბათუმში 2023 წლის იანვარში ახალაშენებული ბინების საშუალო შეწონილი ფასი 34%-ით გაიზარდა და კვ/მ-ზე 924 აშშ დოლარი შეადგინა. ძველი ბინების შემთხვევაში კი მაჩვენებელი - 6%-ით, 674 აშშ დოლარამდე გაიზარდა“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

უნიკალური ქანდაკება კრატერში

აღდგომის კუნძულზე, ვულკანის კრატერში მოაის ახალი ქანდაკება იპოვეს. 1,6 მეტრის სიმაღლის ქანდაკება სრულიად შემთხვევით 21 თებერვალს იპოვეს, როდესაც ჩილეს სამი უნივერსიტეტის წარმომადგენელი მოხალისეები ვულკან რანო რარაკუს კრატერში მუშაობდნენ.

2018 წლიდან კრატერში არსებული ლაგუნის შრობის პროცესი დაიწყო, რის შედეგადაც ქანდაკების აღმოჩენა გახდა შესაძლებელი. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ტერიტორიაზე ქანდაკება პირველად აღმოაჩინეს. მკვლევრების თქმით, ბოლო 2-3 საუკუნის განმავლობაში ლაგუნის სიმაღლე 3 მეტრს აღწევდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანი იქ მოაის ქანდაკებას ვერ დატოვებდა.

საიდუმლო გვირაბი

ეგვიპტელი არქეოლოგები აცხადებენ, რომ თანამედროვე სამეცნიერო მოწყობილობების გამოყენებით ჩატარებული სკანირების შედეგად ხეოფსის პირამიდაში, იგივე გიზას დიდ პირამიდაში საიდუმლო გვირაბი იპოვეს. პირამიდის შიგნით სამი ცნობილი კამერაა, მათგან ერთი მეფის, მეორე – დედოფლის, მესამე კი უცნობი დანიშნულების იყო. ახლა მათ 9-მეტრიანი გვირაბი დაემატა.

სავარაუდოდ, გვირაბის აშენების მიზანი პირამიდის წონის შემცირება იყო. ახლა მეცნიერები იმედოვნებენ, რომ მსგავს კონსტრუქციებს პირამიდის სხვა ნაწილებში აღმოაჩენენ.

საჩუქარიც ამას ჰქვია

ჩრდილოეთ კაროლინის შტატში მცხოვრებმა ლესლი ჰასტედმა საკუთარ დაბადების დღემდე რამდენიმე საათით ადრე აღმოაჩინა, რომ ჯეკპოტი მოიგო. ქალი ტელევიზორს უყურებდა, საიდანაც გაიგო, რომ მის ქალაქში შეძენილმა ბილეთმა ჯეკპოტი მოიგო. „როდესაც მოვისმინე, რომ გამარჯვებული ჯერ კიდევ არ გამოცხადებულა, ცახცახი დავიწყე“, – იხსენებს ჰასტედი. როგორც აღმოჩნდა, ქალმა 1 მილიონი დოლარი მოიგო. მისი თქმით, ის მოგებულ თანხას პენსიაზე გასვლის შემდეგ დახარჯავს.



მეფემ პრინცი და პრინცესა რეზიდენციიდან გაასახლა

გაერთიანებული სამეფოს მეფემ ჩარლზ მესამემ პრინცი ჰარის და მეგან მარკლის ფროგმორ-ჰაუსის რეზიდენციიდან გასახლება გადაწყვიტა. ასეთი გადაწყვეტილება მეფემ პრინცის მემუარების გამოსვლის შემდეგ მიიღო. წიგნში სახელწოდებით „სათადარიგო“ აღწერილია ჩხუბი პრინც უილიამისა და პრინც ჰარის შორის და აღნიშნულია, რომ ჩარლზის მეორე მეუღლე, კამილა ძმების შესახებ ინფორმაციას მედიას აწვდიდა. **„ეს გასახლება ჰარისა და მეგანის დიდ ბრიტანეთში ყოფნის დასასრულს ნიშნავს“,** – აღნიშნავს გამოცემის წყარო. მისივე ცნობით წყვილს ალტერნატიული რეზიდენცია შესთავაზეს. ამ ეტაპზე ჰარი და მეგანი ბრიტანული კოტეჯიდან საკუთარი ნივთების კალიფორნიაში გადაგზავნის პროცესში არიან.

ინდურ ტაძარში ცოცხალი სპილო მექანიკურით ჩაანაცვლეს

ინდოეთის შტატ კერალას ერთ-ერთი ინდუისტური ტაძრის ადმინისტრაციამ ტრადიციულ რიტუალებში მონაწილე სპილო მექანიკური მოდელით ჩაანაცვლა, რომელიც მას ცხოველთა დაცვის ორგანიზაციამ PETA და მსახიობმა პარვატი ტირუვოტუმ გადასცეს.

პირველი ცერემონია მექანიკური სპილოს მონაწილეობით 26 თებერვალს ჩატარდა. მოდელის სიმაღლე 3 მეტრია, წონა კი 800 კგ. ის რკინის კარკასზეა აგებული და 6 ათასი დოლარი ღირს.

სპილოები არაერთ ინდურ ტაძარში ჰყავთ. ცხოველებს ფესტივალებსა და რელიგიურ რიტუალებში იყენებენ. თუმცა ამ ცხოველებისადმი მოპყრობა უკვე დიდი ხანია ცხოველთა დამცველების აღშფოთებას იწვევს. გაწვრთნისას სპილოებს ხშირად სცემენ, აბამენ, დღესასწაულებზე კი ღებავენ. კერალაში, სადაც ასეთ პირობებში 500-მდე სპილო ცხოვრობს, 2018-2023 წლებში 158 ცხოველი მოკვდა. ტაძრის ადმინისტრაციაში მიაჩნიათ, რომ მექანიკური სპილოს გამოყენებით, რიტუალების ჩატარებას ცხოველებზე ძალადობის გარეშე შეძლებენ და იმედი აქვთ, რომ მათ მაგალითს სხვა რელიგიური დაწესებულებებიც მიმართავენ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ე

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოზულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ძორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გამოიწერეთ ან იყიდეთ ჟურნალისტური ეთიკის ყველა ნორმის დაცვით გამორჩეული გაზეთი!

წლის პირველი თვეები გადამწყვეტია ბეჭდური მედიის, ანუ ტრადიციული და ეროვნული ჟურნალ-გაზეთების ხელმოწერა-გავრცელებისთვის!

ბუნებრივია, ხელმომწერთა სიმრავლე მთავარი პირობაა 105 წლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო და საინფორმაციო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გადარჩენისთვისაც!

ამიტომაც წიგნიერ საქართველოს – ვისაც ჯერ კიდევ უყვარს კითხვა, უმორჩილესად ვთხოვთ, გამოიწერონ ჩვენი სანდო, მართალი, ჟურნალისტური ეთიკის ყველა ნორმის დაცვით გამორჩეული გაზეთი!

ხელმოწერა შეგიძლიათ, გააფორმოთ შემდეგ გამავრცელებლებთან:
შპს „ელვაჯი“, 595 38 26 26, 2 38 26-73, 2 38 26-74;
შპს „პლანეტა ფორტე“, 2 99 18 59.

ხელმოწერასა და გაზეთის ბინაზე მიტანაში უშუალოდ დაგეხმარებათ თვით რედაქციასთან ურთიერთობაც – ჭავჭავაძის პროსპექტი №17ე, „საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის“ ოფისი, დარეკეთ: 5 99 36 00 35, 577 77 27 17.

გაზეთის დახმარების მსურველებმა თანხა ჩაგვირიცხეთ ანგარიშზე
GE90BG0000000538329790

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 8 მარტს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6064; ევრო - 2.7680;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1180;
100 რუბლი - 3.4492; თურქული ლირა - 0.1399;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5332;
1000 სომხური დრამი - 6.7103

ამინდი 6 მარტისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:			
ბარი -	ღამე	+4,	დღე +15
მთიანი რაიონები -	ღამე	0,	დღე +11
დასავლეთი საქართველო:			
ბარი -	ღამე	+7,	დღე +14
მთიანი რაიონები -	ღამე	+2,	დღე +9
თბილისი:	ღამე	+6,	დღე +12

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge